# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 24 სექტემბერი 1999 №183 (956) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქინქლაძე უნდა გახდეს

„შეფილდ იუნაიტედი" მზად არის, 15 კილოგრამით მსუბუქ ქინქლაძეში „აიაქსს" 2 500 000 გირვანქა გადაუხადოს

## კალენდარი აგვერია

ეროვნული ჩემპიონატის მე-6 ტურში დაგეგმილი რვა მატჩიდან მხოლოდ ხუთი ჩატარდება

## ასე იყო, ასე არის...

გორის „დილამ" მორიგი მწვრთნელი გამოიცვალა

## დიდ ადამიანთა ლოგინებში



ვინმე ლაიზამ გულიტის ოჯახი დაანგრია

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



ნინო სალუქვაძე



გუშინ ათენში დაწყებულ ბერძნულ-რომაულად მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი შეხვედრები მოიგეს ტარიელ მელელაშვილმა (76 კგ) და გენადი ჩხაიძემ (97). ალექსანდრე ცერცვაძე (54) კი დამარცხდა.

# რეალი მწვანე ჯოჯოხეთში

## ჩემპიონმა ჟალგირისმა შინ მარცხით დაიწყო



ულქერი — ვილერბანი 73:80. ულქერელთა ამერიკელი კევინ რენკინი (თეთრ ფორმაში) სამი მეტოქისგან თავის დახსნას ცდილობს

ტურნირის მთავარი მატჩი კალათბურთის უამრავი ქომაგი რომ ელოდა, პირველსავე ტურში გაიმართა: კაუნასში ევროლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა „ჟალგირისმა" წლევანდელი ასპარეზობის ფავორიტ ათენის „პანათინაიკოსს" დაუხვდა და ლიტველებმა ვერაფერი მოუხერხეს ბერძნული გუნდის იუგოსლაველ ლიდერებს ჟელკო რებრაჩასა (17 ქულა) და დეიან ბოდიროგას (16 ქულა) და შეჯიბრება 66:82 წაგებით დაიწყეს. ლიუბლიანის „ოლიმპიას" ფანები თავიანთი მწვანე ქალაქისა და სათაყვანო გუნდის მწვანევე სპორტული ფორმის გამო მადრიდის „რეალს" „მწვანე ჯოჯოხეთის" მოწყობას შეპირდნენ და სლოვენიელი კალათბურთელების წყალობით დანაპირები აუსრულეს კიდეც: ესპანელებს ვერც ახალშემატებულმა იუგოსლაველმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა (6 ქულა) უშველა, „ოლიმპიამ" 73:63 გაიმარჯვა. ბარემ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ოლიმპიამ" „რეალი" შარშანაც გაამწარა, თანაც მადრიდში და ამ საქმეში ლომის წილი ჩვენმა ვლადიმერ სტეფანიამაც დაიდო. წლევანდელ ევროლიგაში კი არც ერთი ქართველი აღარ თამაშობს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# უეფა ფიფას წინააღმდეგ

## ამხანაგური მატჩების წინააღმდეგ, ნაკრებების გადასარჩენად

თუ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩაატარებენ, ევროპული ფეხბურთი რვა წელიწადში, სულ მცირე ერთ მილიარდ დოლარს იზარალებს, ხოლო 2016 წლისთვის გვარიანად ჩამორჩება და დამახინჯდება, წერია უეფას საგეგმო კომისიის მოხსენებაში, რომელიც ჟენევაში კონტინენტის ასოციაციათა პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების კონფერენციაზე გაავრცელეს.

მოხსენებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ევრეთწოდებული მცირე ქვეყნები, რომელთა ფეხბურთელებიც დიდი ქვეყნების გუნდებში თამაშობენ, სანაკრებო შესარჩევი მატჩებისთვის თავიანთ მოთამაშეთა განთავისუფლების პრობლემას გაცილებით მწვავედ შეეჯახებიან, რაც საბოლოოდ ევროპის ჩემპიონატს დააზარალებს. ნაწინასწარმეტყველევია, რომ აირევა მსოფლიოს ზოგადსპორტული კალენდარიც.

დღეს დედამიწის საფეხბურთო ბაზარი წელიწადში 4,7 მილიარდი დოლარის, ხოლო ოთხწლიან ციკლში 19 მილიარდზე მეტი ღირებულებისაა. ამ თანხის 80 პროცენტი ევროპაზე მოდის და შესაბამისად წეს-წყობილების არევა საზოგადოებრიობას დიდ ზარალს უქადის.

როგორც ჩანს, უეფა ფიფას გეგმების წინააღმდეგ ბრძოლას ამძაფრებს, რისი ნათელი დასტურიც ახალი სანაკრებო შეჯიბრების იდეა გახლავთ.

იხილეთ მეათე გვერდი



სპორტში დიდი ცვლილებების დრო დადგა. უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, შვეიცარიის სპორტის მინისტრი ადოლფ ოგი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი ჟენევის შეხვედრისას

# ქინქლაძე უნდა გახდეს

## შეფილდ იუნაიტედი მზად არის, 15 კილოგრამით მსუბუქ ქინქლაძეში აიაქსს 2 500 000 გირვანქა გადაუხადოს

ბადრი კოპალაძის ფოტო



ბევრი მოსვლია ქინქლაძეს: თხუთმეტი კილო უნდა დაიკლოს

გუშინ ამსტერდამის „აიაქსის" 26 წლის ქართველმა ნახევარმცველმა დაადასტურა, რომ სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს ინგლისის პირველი დივიზიონის წარმომადგენელ „შეფილდ იუნაიტედთან". ქინქლაძემ „დეილი მირორს" განუცხადა, თუ პრემიერლიგაში ვერ მოვხვდები, „შეფილდ იუნაიტედსა" და პირველ დივიზიონზეც თანახმა ვარ. „აიაქსის" პრეს-ატაშე ერიკ ვან ლევენსი კი „შეფილდთან" მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს. ჩვენ არავინ დაგველაპარაკებიაო, ამბობს.

მართალია, გუშინ დილით ამსტერდამის „აიაქსის" პრეს-ატაშემ, ერიკ ვან ლევენსმა იუარა, ქართველი შეიძლება მაინც ინგლისის პირველი დივიზიონის ამ კლუბში გადავიდეს.

ვან ლევენსმა დაინტერესებულ ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: „ქინქლაძის „შეფილდში" შესაძლო წასვლაზე საუბარი ჩვენთვის სრული სიურპრიზი იყო.

„შეფილდიდან" „აიაქსს" არავინ დალაპარაკებია. ქინქლაძეს შარშანდელი დეკემბრიდან სერიოზულად არ უვარჯიშია. იგი ხანდახან თუ გამოჩნდება „აიაქსის" მეორე გუნდში, ისიც საჩვენებელი და გასართობი მატჩების დროს. „აიაქსი" მზად არის, გაყიდოს ქინქლაძე ორივე, კლუბისა და ფეხბურთელისთვის მისაღები პირობებით. თავად ქინქლაძე კი ცდილობს, დაელოდოს პერსონალურ მიწვევას, ანაც განათხოვრებას. არა მგონია, „აიაქსი" ამ ტიპის კონტრაქტით დაინტერესდეს. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, რომ ქინქლაძე საბოლოოდ გავყიდოთ."

როგორც გუშინვე გაირკვა, „შეფილდ იუნაიტედის" 38 წლის თავკაცი ადრიან ჰითი თავიდან ქინქლაძეს დალაპარაკებია. მას ქართველისთვის კვირაში 20 000 გირვანქა და „იუნაიტედში" იჯარით წასვლა შეუთავაზებია.

„ჩვენ ვაგრძელებთ ფეხბურთელთან კონტრაქტის თაობაზე საუბარს. ეს ძალიან ძვირი გვიჯდება, თუმცა ვფიქრობ, რომ ქართველის „ბრომენ ლოუნზე" გამოჩენა სტადიონზე დამატებით 2000 ფანს მიიზიდავს და ქინქლაძეში დახარჯულ ფულს მალე ავინაზღაურებთ" — ასე ფიქრობდა გუშინ შუადღისას ადრიან ჰითი.

ერიკ ვან ლევენსის განცხადების შემდეგ ჰითმა სტრატეგია შეიცვალა და სალამოს „აიაქსს" ქინქლაძის ყიდვაზე თანხმობა განუცხადა. „შეფილდ იუნაიტედმა", „დეილი მირორის" ცნობით, ოფიციალურად შესთავაზა „აიაქსს" 2,5 მილიონი გირვანქა.

„მე ოფიციალურად ველაპარაკე „აიაქსის" წარმომადგენლებს — განაცხადა სალამოს ადრიან ჰითმა — კონტრაქტის განხორციელებას ისიც უწყობს ხელს, რომ ქინქლაძეს ძალიან უნდა ინგლისში დაბრუნება."

ჰითის განცხადება გვიან სალამოს „დეილი მირორს" თავად ფეხბურთელმაც დაუდასტურა. „აიაქსი" აღარ მალავს, რომ ჩემს მიმართ არავითარი გეგმები არა აქვს. ამიტომ თავად უნდა შევეცადო, კარიერაში ცვლილებები შევიტანო. ინგლისში დაბრუნება საუკეთესო ნაბიჯია. „შეფილდ იუნაიტედთან" დაკავშირებით მხოლოდ ერთს გეტყვით. ვლოცულობ, რომ „შეფილდის" დაინტერესებიდან რამე გამოვიდეს. თუ პრემიერლიგაში გადასვლა არ მიწერია, ამ გუნდზე და პირველ დივიზიონზეც თანახმა ვარ" — თქვა ქინქლაძემ.

„დეილი მირორმა" ქინქლაძისა და ჰითის საუბრის კიდევ ერთი დეტალი შეიტყო. როგორც გაზეთს ქინქლაძესთან დაახლოებულმა პირმა განუცხადა, ფეხბურთელს სერიოზული პრობლემა აქვს წონასთან დაკავშირებით — იგი ჩვეულზე 15 (!!!) კილოგრამით მეტია. ჰითს კი უთქვამს, სანამ ადრინდელ წონას არ დაიბრუნებ, კონტრაქტი არ შედგებაო.

ჰითი აცხადებს, რომ „აიაქსთან" მოლაპარაკებების შემდეგ კონტრაქტის თაობაზე თავად ქინქლაძესაც დაელაპარაკება. „შეფილდ იუნაიტედის" თავკაცი იმედოვნებს, რომ კვირის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა.

**სიმონ მენაბდე**

# როდის გატყდება კიკნაძის ნავსი?!

თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გიორგი კიკნაძე გაურკვეველ მდგომარეობაშია — რა ხანია, გიორგის საზღვარგარეთ სათამაშოდ წასვლა სურს, მაგრამ ვერა და ვერ აისრულა საწადელი. გულსატკენი ისაა, ფეხბურთელს სათამაშო ფორმასა და ფეხბურთთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებზე მეტად არასაფეხბურთო ამბები უშლის ხელს.

კიკნაძე რომ თურქულ „ერზურუმსფორს" სურდა თავის რიგებში ეხილა, ეს კარგა დიდი ხნის წინ შეიტყო „სარბიელის" მკითხველმა. „დინამოსა" და თურქულ კლუბს შორის წინასწარი მოლაპარკებაც თითქოს თავის რიგზე მიდიოდა, მაგრამ თურქეთი ერზურუმში წასული კიკნაძისთვისაც დაიქცა — მიწისძვრის გამო „ერზურუმსფორმა" ქართველ ნახევარმცველთან მოლაპარაკება გადადო და ამით დრო დაიკარგა.

მოლაპარაკების განახლების შემდეგ კი ერთი ახალი პრობლემაც წარმოიშვა — „დინამომ" უარი განაცხადა ფეხბურთელისთვის სატრანსფერო ფურცლის მიცემაზე მანამ, სანამ თურქული მხარე ფულს არ გადაიხდიდა. ფული კი არ ჩაირიცხა ქართულ ანგარიშზე და ამრიგად, ტრანსფერიც სათუო გახდა.

ამის შემდეგ გიორგის ერთი თურქული გუნდიც შეეხმიანა. კიკნაძით „სამსუნსფორი" დაინტერესდა. იგივე სიტუაცია, იგივე საუბარი, კვლავ ფულის ფაქტორი და გიორგი კიკნაძემ ვერც „სამსუნსფორის" მაისურას ჩაცმა მოახერხა.

დღის წესრიგიდან და ფეხბურთელის შესაძლო გუნდთა სიიდან ამ ეტაპზე არც „ერზურუმსფორი", არც „სამსუნსფორია" გამორიცხული, მაგრამ არც მთლად სასიკეთო პირი უჩანს საქმეს.

ისე, კიკნაძეს სფფ-ს პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას მეოხებით ამ ხანებში ესპანური ვარიანტიც გამოუჩნდა, მაგრამ მოსკოვში წასული ფეხბურთელი იქაურ აგენტს შეუყვანია შეცდომაში — ესპანეთში ნახევარმცველებს არ ვსაჭიროებთ, თავდამსხმელები გვჭირდებაო. ამდენი უპირულობით თავმობეზრებული კიკნაძეც ამდგარა და შინ წამოსულა.

— თბილიში კი გაირკვა, რომ ის აგენტი არც თავში იყო და არც ბოლოში. მერაბ ჟორდანიას თავად მოუგვარებია პირადი კავშირებით გიორგისთვის საქმე. ესპანეთში მას გასასინჯად ნამდვილად ელოდნენ, მაგრამ... ეს ფეხბურთელის ოჯახიდან გვაცნობეს.

დაითარსაო, ზუსტად ამგვარ სიტუაციაში მოხვედრილ კაცზე იტყვიან. საითაც კი წავიდა ქართველი ფეხბურთელი, ყველგან პრობლემა და აწეწილი საქმეები დახვდა. ისიც არავინ იცის, რომელი გუნდი როდის ისურვებს მოლაპარაკების ხელახლა განახლებას.

ერთადერთი ნაღდი მსურველი ისევ თბილისის „დინამოა". დარჩი ჩვენთან და დაგვეხმარეო — ესეც არაერთხელ შეუთვლიათ „დინამოს" მესვეურებს კიკნაძესთვის, მაგრამ ახლა არც „დინამოს" ულხინს მაინცდამაინც და ფეხბურთელის ყოყმანიც ამით თუა გამოწვეული.

არადა, დრო გადის. დრო, რომელიც ამჯერად სულაც არ არის გიორგი კიკნაძის მეკავშირე.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ბადრი კოპალაძის ფოტო



გიორგი კიკნაძე

# სკული, დელა ბონა და ჯოლოხავა

*ქართველმა თვრამეტწლამდელებმა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სათამაშოდ უელსში რომ იმყოფებიან, უკვე ორი მატჩი წააგეს და ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების იმედი გადაიწურეს. ქართველები ბოლო მატჩს ხვალ სალამოს ბერიში შვეიცარიასთან გამართავენ. ჩვენებურები „ჯენერ პარკზე" მოვალეობის მოხდის მიზნითღა, სატურნირო ცხრილისთვის საბოლოო სახის მისაცემად ითამაშებენ.*

მერთირის „პენიდარენ პარკზე" ეს უკვე მესამე მატჩი გახლდათ ბოლო 48 საათში. 20 სექტემბერს უელსმა უმასპინძლა საქართველოს, 21-ში ადგილობრივმა „მერთირ ტიდფილმა" „ბესინგსტოკ თაუნს", გუშინ კი იტალია — საქართველო გაიმართა.

იტალიამ 2:1 დაამარცხა საქართველო და ამით ევროპის თვრამეტწლამდელთა შესარჩევი ჯგუფის მერთირში გასამართი მატჩები ამოიწურა.

იტალიამ ჯუზეპე სკულის დუბლით დაიმშვიდა გული. „იუვენტუსის" თავდამსხმელმა 30-ე და 56-ე წუთებზე გაიტანა, მაგრამ საქართველომ 59-ზე უპასუხა სკულის დარტყმებს, როცა რიგის სკონტოელმა ცეზარ ხუროძემ ბრწყინვალე ინდივიდუალური ოსტატობით ანგარიში გაქვითა. იტალიელთა დაწინაურების კარგი შანსი ჩელსელ სამუელე დელა ბონას მაშინ მიეცა, როცა ის საჯარიმოში წააქციეს, მაგრამ დელა ბონასვე დარტყმული თერთმეტმეტრიანი თბილისის „დინამოს" მეკარე ჟიული ჯოლოხავამ მოიგერია.

მატჩის მიწურულს ისევ ძალიან შთამბეჭდავად ითამაშა სკულიმ. ჩანს, მისი სახით იტალიურ ფეხბურთს კარგი მომავალი ეზრდება.

ჯგუფის მეორე მატჩში, ბერიში „ჯენერ პარკზე" რომ გაიმართა, შვეიცარიამ ანდრე მაფის გოლით უელსს 1:0 მოუგო.

*23 სექტემბერი*

*ვესტერნ მეილ & ეკო*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

# ხვალ ისრაელში ქართული დერბია

ხვალ ისრაელის ჩემპიონატის მეხუთე ტურში გოგა გახოკიძის ჰაიფას „მაკაბი" გიორგი დარასელიას ქვარსავას „ჰაპოელს" ეთამაშება.

შეხვედრაში ფავორიტი უდავოდ „მაკაბია", რომელიც გათამაშების ლიდერია და მეტოქესთან შედარებით საკუთარი კედლების ფაქტორის გარდა, ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც ფლობს. „მაკაბიმ" გასულ ტურში პირველი ქულები დაკარგა. სტუმრად დარასელიას ყოფილ კლუბს თელ ავივის „ჰაპოელს" 0:0 ეთამაშა. ამ შეხვედრაში გახოკიძე მოედანზე 75-ე წუთამდე იბრძოდა და მედიის მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

რაც შეეხება გიორგი დარასელიას ქვარსავას „ჰაპოელს", მან მეტად უსახურად ითამაშა საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ თელ ავივის „მაკაბისთან." მიუხედავად იმისა, რომ დარასელიამ 90 წუთი დაჰყო მინდორზე, ქვარსაველები 0:3-ზე დამარცხდნენ.

ხვალინდელი შეხვედრის წინ გახოკიძის „მაკაბი" 10 ქულით პირველ ადგილს იყოფს ჰაიფას მეორე კლუბ „ჰაპოელთან", დარასელიას „ჰაპოელი" კი ორადორი ფრედ დამთავრებული შეხვედრით მე-11 ადგილზეა და გავარდნის ერთ-ერთი კანდიდატია.

**სიმონ მენაბდე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასე იყო, ასე არის...

## დილამ მორიგი მწვრთნელი გამოიცვალა



ბადრი ქოთოლაძის ფოტო

ივანე თაყაძე

გორში ჩვეულებრივი ამბავია — „დილას" ჩემპიონატისთვის ერთი მწვრთნელი ამზადებს, რამდენიმე ტურიც ის უხელმძღვანელებს გუნდს, მერე კი კლუბის მესვეურები აზრს შეიცვლიან და სეზონს სხვა სპეციალისტი ჩაამთავრებს.

კაცია და გუნებაო, ნათქვამია. გორელებმაც თავიანთი საქმისა უკეთ იციან, ისიც მართალია, ჩვეულება რომ რჯულზე უმტკიცესია. გორში მწვრთნელების ხშირი ცვლა ტრადიციად იქცა.

ადრე მსგავსად შეტრიალებიათ საქმეები სოსო ვაშაკიძეს, მერაბ კოჭლაშვილსა და ნიკა ამირეჯიბს. ახლა მერაბ ხუციშვილის ჯერი იყო. გორის „დილამ" მორიგი მწვრთნელი გამოიცვალა.

ბოლომდე მაინც ვერ გავიგეთ, რატომ გამოუცხადეს უნდობლობა მერაბ ხუციშვილს. ზოგი მიზეზად არასასურველ შედეგს მიიჩნევს, მაგრამ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელის ნამოღვაწარი ვერაფრით ჩაითვლებოდა კატასტროფულ, ხელმძღვანელობისთვის მიუღებელ შედეგად. ორი ფრე, საშინაო თსუ-სთან და საგარეო „ტორპედოსთან". შინ დაჩოქებული „კოლხეთი" და მარცხი რუსთავში. ოთხ მატჩში ხუთი ქულა, ბევრი ამ შედეგს დამაკმაყოფილებლად მიიჩნევდა, მაგრამ...

ზოგის აზრით, ხუციშვილს ფეხბურთელებთან ძალიან ახლო, მეგობრული ურთიერთობები არ მოუწონეს. მწვრთნელი თავისუფალ დროსაც თავის მოთამაშეებთან ატარებდა და პურსაც ხშირად ტეხდა მათთან ერთადო.

ბუნებრივია, ასეთი მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელებს ხშირად შეაწუხებდა, ბიჭებს ხელფას-პრემიები არ დაუგვიანოთ, დანაპირები შეუსრულეთო. წინააღმდეგობებიც ამის შემდეგ დაწყებულა.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ოფიციალური წყაროებიდან არ მოდის, გორელი გულშემატკივრების ნავარაუდევია.

კლუბის ხელმძღვანელთა პასუხი ასეთი იყო — მწვრთნელმა თავად მოგვმართა თხოვნით გადადგომის შესახებ და ჩვენც დავაკმაყოფილეთო. არც ერთი სიტყვა ზედმეტი, არავითარი სხვა კომენტარი.

მოკლედ, მერაბ ხუციშვილი წავიდა თუ გაუშვეს, მაგრამ „დილას" უმწვრთნელოდ არავინ დატოვებდა და გუშინ ახალი თავკაცი დაინიშნა.

ივანე თაყაძე გორის „დილაში" უცხო კაცად ვერ ჩაითვლება. იგი გუნდში ადრეც მუშაობდა, ხოლო შარშან მისი ხელმძღვანელობით მობურთალ „დილას" ჯგუფში ადგილის შენარჩუნება არ გასჭირვებია. თაყაძე „დილას" სულ მცირე, პირველი წრის ბოლომდე გაუძღვება, მერე კი ვნახოთ, სხვადასხვა ვარიანტებსაც ვარჩევთო, ასეთი იყო კლუბიდან მოსული პასუხი.

ივანე თაყაძის მწვრთნელად დანიშვნამდე საუბარი იყო თბილისელი მწვრთნელის, გაიოზ დარსაძის მიწვევაზე. გორელები შეხმიანებიან კიდეც, მაგრამ დარსაძეს თავაზიანი უარი შეუთვლია. ასეა, ყველამ თავისი საქმე უკეთ იცის.

რაც შეეხება თაყაძეს, იგი ხუციშვილის მწვრთნელობის დროსაც გუნდში იყო, მთავარ დამრიგებელს „დილას" გაწვრთნაში ეხმარებოდა.

**მამუკა ძვანტალიანი**

# კიევის დინამოს ქართველი საჭრეთში

*საფეხბურთო შემოდგომაა ევროპაში. მისი უდიდებულესობა ფეხბურთი კვლავ განაგრძობს ბატონობას და ვისი გულიც დაუტყვევებია ამ ჯადოქრულ სანახაობას, ბედი მაქვსო, უნდა თქვას. ჩემპიონთა ლიგის მატჩების ცქერისგან განცდილი სასიამოვნო წუთები კარგა ხანს გაჰყვება ჩვენს მეხსიერებას, მით უმეტეს მაშინ, როცა ყოველივეს ემოციურად შეჰყურებ და აღიქვამ.*

*ასეთ ყოფაში ვიყავით გუშინწინ. რომის „ლაციოსა" და კიევის „დინამოს" ორთაბრძოლას, მჯერა, ვერც ერთი ქართველი ქომაგი გულგრილად ვერ უყურებდა. იტალიის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე ჩვენებური კახა კალაძე დაქროდა და ყოველ ჩვენგანს გვეამაყებოდა. კალაძე ხომ ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში მონაწილეობს.*

*კახამ საკმაოდ კარგად ითამაშა. საჯარიმო დარტყმებითაც აიკლო რომაელები და რომ არა „ლაციოს" მეკარის, ბალოტას თავგანწირული ნახტომი, კალაძე შეხვედრის 44-ე წუთზე ანგარიშსაც გახსნიდა.*

*თუმც მრავალმა თქვენგანმა, ალბათ, თავად იხილა ეს მატჩი და თავს აღარ შეგაწყენთ. უმჯობესია, შეხვედრის პერიპეტიებზე თავად კახა კალაძეს მოვუსმინოთ:*

— რა გითხრათ. დამარცხებას ძალიან განვიცდი. თუმცა თავს იმით ვინუგეშებ, რომ იტალიის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა მოგვიგო. „ლაციო" მომზადების მხრივ ევროპაშიც ბევრს არ ჩამოუვარდება.

**— მაინც რატომ ვერ მოახერხეთ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება?**

— ვფიქრობ, შევძლებდით მატჩის გამარჯვებამდე მიყვანას, მაგრამ ჩვენს გატანილ გოლს მეტოქემაც უმალ უპასუხა და ამან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით დამთრგუნველად იმოქმედა. 5 წუთი მაინც რომ შეგვენარჩუნებინა ანგარიში, ალბათ, სულ სხვა შედეგი იქნებოდა.

**— ფიზიკურმა კონდიციებმა ხომ არ გიმტყუნათ?**

— არა, ფიზიკაში არ უჯობნიათ, უფრო ტექნიკაში დაგვჩაგრეს. ინდივიდუალური მოქმედებითაც ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ.

**— აქამდე ლობანოვსკი მარცხენა ფლანგის კონტროლს გავალებდათ. „ლაციოსთან" კი საყრდენად გაგამწესათ. წინასწარ გამზადებდათ ამ პოზიციისთვის?**

— არა. არავითარი წინასწარი მზადება არ გამივლია. უბრალოდ, მითხრა, საყრდენ ნახევარმცველად ითამაშებო და მორჩა. ისე, ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა ეს გადაწყვეტილება.

**— შეხვედრას კორექტულს ვერ დავარქმევთ...**

— გეთანხმებით. იტალიელები ძალიან გვეუხეშებოდნენ, თანაც გამომწვევად მოქმედებდნენ. მსაჯმა ბევრი მათგანი სამართლიანად გააფრთხილა.

**— არც თქვენ დაგინდეს, სერიოზულად ხომ არ დაშავებულხართ?**

— არა, საბედნიეროდ, ტრავმას გადავურჩი. სრულ ფორმაში ვარ.

**— ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ მეორე მატჩი წააგეთ. ჯგუფიდან გასვლა ძალიან გაგიჭირდებათ.**

— მართლაც გავირთულეთ საქმე. ახლა დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალური შედეგების მიღწევა გვჭირდება. ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ და არც უიმედოდ ვართ.

*უიმედობა და ხელის ჩაქნევა მართლაც არ სჩვევია კიევის „დინამოს". ვალერი ლობანოვსკის გუნდისთვის ასეთი რამ წარმოუდგენელია. ისე, უპრიანი იქნება, ლობანოვსკის კომენტარსაც გავეცნოთ:*

— „ლაციომ" მაღალი კლასის შემსრულებლების ხარჯზე მოგვიგო. ეს კლუბი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ამ ეტაპზე კი შეიძლება ითქვას, ყველაზე ძლიერიცაა. ამიტომაც არ ვართ ზედმეტად დაღონებულები. ვფიქრობ, მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიეთ. მომავალში კვლავ ვიბრძოლებთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

# კალენდარი აგვერია

ხვალ და ზეგ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეექვსე ტური გაიმართება, თუმცა რვა მატჩის ნაცვლად ხუთი შედგება. როგორც გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში გვაცნობეს, 25 სექტემბრისთვის დანიშნული „არსენალი" — „ვიტ ჯორჯიასა" და „ლოკომოტივი" — „თბილისის", ასევე 26 სექტემბრისთვის დაგეგმილი „კოლხეთი" — თსუ-ს შეხვედრები გადაიდო.

„არსენალი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩის გადადების მიზეზი საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებია. კოპალეიშვილი და მისი შეგირდები, გეცოდინებათ, უელსში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე თამაშობენ, იქ იმყოფება ვიტელთა ორი ფეხბურთელიც — ედიკ საჯაია და რევაზ გოცირიძე. კლუბის ხელმძღვანელობამაც ამის გამო მატჩის გადადება ითხოვა, რაც დებულებით ნებადართულია. ამავე მიზეზით გადაიტანეს „კოლხეთი" — თსუ-ს შეხვედრა. უელსში ნაკრებს თსუელთა ოთხი ფეხბურთელი — ალექსანდრე ინწკირველი, რამაზ სვანაძე, გიორგი ადამია და კახა წუწუნავა ახლავს. რაც შეეხება „ლოკომოტივი" — „თბილისის" თამაშს, მისი მოგვიანებით გამართვის სურვილი ორივე კლუბის ხელმძღვანელობას გამოუთქვამს. რკინიგზელებს 30 სექტემბერს საბერძნეთში პაოკ-თან უეფას თასის საპასუხო მატჩი ელით, ელადაში კი ავტობუსით აპირებენ გამგზავრებას, ფედერაციამაც მათი მდგომარეობა გაითვალისწინა და თხოვნა დააკმაყოფილა. ისე, ეს მატჩი, ალბათ, მაინც არ ჩატარდებოდა, რადგან თვრამეტწლამდელთა ნაკრებში „თბილისის" სამი მოთამაშეც ირიცხება.

ფეხბურთის ფედერაციამ ამ სამი მატჩიდან ორის ახალი თარიღიც დაადგინა. „არსენალი" „ვიტ ჯორჯიას" ავლაბარში სამშაბათს, 28 სექტემბერს უმასპინძლებს, ხოლო თსუ ფოთში მეორე დღეს — 29 სექტემბერს ჩავა. „ლოკომოტივი" — „თბილისი" კი, ისევე, როგორც წინა ტურის გამოტოვებული შეხვედრა თსუ-სა და ქუთაისის „ტორპედოს" შორის, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

**ვანო ოქროპირიძე**

# ხომერიკიც ფრაიბურგში

*მრავალი ჩემპიონის, თბილისის „დინამოს" ჯერაც საკუთრება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო მევოლე, თავდამსხმელი ლევან ხომერიკი დაახლოებით ორ კვირაში გერმანიაში, კერძოდ ფრაიბურგში გაემგზავრება.*

*კარგად იცით, გერმანული მიწის — ბადენ ვიურტემბერგის ამ პატარა ქალაქის გუნდში ქართველთა სამეული — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი თამაშობს. ხომერიკიც მათთან მიდის, ოღონდ... არა სათამაშოდ.*

*ფეხბურთელმა „დინამოში" ბოლოს მოლდოვურ „ზიმბრუსთან" ავადმოსაგონარ მატჩებში ითამაშა. მოლდოველებს თბილისურ მატჩში დიდებული გამარჯვების გოლიც კი გაუტანა, მაგრამ რაღ გინდა, „ზიმბრუმ" მაინც შეგვირცხვინა ჩემპიონი.*

*მას მერე ხომერიკი მწვანე მინდორს არ გაკარებია. რა და რას არ გაიგონებდით, ფეხბურთელს „დინამოს" დატოვება სურს, ლევან ხომერიკი კიდევ ერთ დინამოელ, გიორგი კიკნაძესთან ერთად ესპანურ პრიმერა დივიზიონში ახალაღზევებულ „მალაგაში" მიდის საბურთაოდო...*

*ხომერიკის გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი კი მისი ტრავმაა, ტრავმა, რომელიც დღემდე ვერ მოირჩინა, ფეხბურთელი სამკურნალოდ, თან დასასვენებლად ამ ზაფხულს მშობლიურ ბათუმში იმყოფებოდა, ექიმებმა ნაირევზე თბილი აბაზანებიც კი გამოუწერეს, მაგრამ ყოველივე თურმე ფუჭი ყოფილა:*

— კოჭი ისევ მაწუხებს, ექიმებმა მითხრეს, აქ ვერ გიმკურნალებთო. ერთადერთი საშველი ოპერაციაა. საოცარი უიღბლობა დამჩემდა, წლეულს ჩემთვის ფეხბურთი ფაქტობრივად დასრულდა.

**— გამოდის, უცხოეთში უნდა იმკურნალო.**

— დიახ, ასეა. გერმანიაში უნდა გამიკეთონ. ვიზასთან დაკავშირებული ფორმალობებია მოსაგვარებელი. მითხრეს, პრობლემას დაახლოებით 10 დღეში მოგიგვარებთო. მეც რა უნდა ვქნა, ველოდები.

**— მიუნხენის ცნობილ კლინიკაში ხომ არა?**

— არა, ფრაიბურგში მივდივარ. დახმარებისთვის ალექსანდრე იაშვილს მივმართე, მანაც, რა პრობლემააო და...

ოპერაციას ის ექიმი გამიკეთებს, რომელმაც იაშკა განკურნა, ასე რომ, იმედიანად ვარ.

**— ჯერაც „დინამოს" ფეხბურთელად ითვლები, გუნდს ალბათ ამ სეზონში ვერ დაეხმარები...**

— სამწუხაროდ, ასეა. „დინამოსთან" კონტრაქტი ამ წლის ბოლომდე მაქვს, მერე კი თავისუფალი ვარ, თუ რაიმე ხელსაყრელი გამოჩნდა, შევხედავ.

**— ესპანური „მალაგას" ვარიანტი ჩაიშალა?**

— კი. საბოლოოდ გამოირიცხა. ახლა ერთდერთი საფიქრალი მკურნალობაა...

**— თუ არ ვცდები, ფეხი ადრეც გაწუხებდა.**

— „დინამოს" ჰოლანდიაში შეკრებისას კოჭი გადამიბრუნდა. იმის შემდეგ მაწუხებდა. თამაში კი შემეძლო, მაგრამ ფეხზე არც მიფიქრია, ახლა რომ ვუკვირდები, დამნაშავედ საკუთარ თავსაც ვთვლი, ცოტა ხან კიდევ მჭირდებოდა დასვენება, მაგრამ მე თამაში მინდოდა.

**გიორგი ვაშაკიძე**



REUTERS ფოტო

კიეველი კახა კალაძე რომაელ მატიას ალმეიდას გასცდა

# სამშობლოს კვამლი თვალებს წვავს

## ფეხბურთელებო, მიბაძეთ კალათბურთელებს!

— მე საქართველოში ერთ-ერთ ძლიერ ფეხბურთელად ვითვლებოდი ფიზიკური მომზადების მხრივ, მაგრამ კიევის „დინამოში“ მოხვედრის შემდეგ მივხვდი, რამხელა უფსკრულია ქართულ ფეხბურთსა და საშუალო ევროპულ დონეს შორის. პირველად რომ დავიწყე ვარჯიში, მიწაზე ვეცემოდი. ოთახში ხელით ამიყვანდნენ-ხოლმე, კარგა ხანი დამჭირდა, სანამ იქაურ დატვირთვებს შევეჩვეოდი — კახა კალაძე ამ სიტყვებს „სარბიელს“ შარშან ეუბნებოდა, „რეალ“ — კიევის „დინამოს“ მეოთხედფინალური მატჩების წინ.

— იტალიურ სერია A-ში ისეთი დატვირთვებია, მოუმზადებლად არც კი უნდა გაიფიქრო ფეხბურთელმა იქ თამაში, თუ გარკვეული ეტაპები არ გაიარე სათამაშო და ფუნქციონალურ-ფიზიკური მომზადების მხრივ — ეს კი ახლახან, „ლოკომოტივ“ — პაოკის მატჩამდე გვითხრა ომარ თეთრაძემ.

— ჩვენი გუნდი „ფრაიბურგი“, სხვა გერმანული გუნდებიდან განსხვავებით, აქცენტს შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთზე აკეთებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვინმემ იფიქროს, „ფიზიკას“ დიდ ყურადღებას არ აქცევენო, მაგრამ... პირიქით, ფიზიკურად კარგად თუ არ მოემზადე, თანამედროვე ფეხბურთს ვერ ითამაშებ — ესეც ქართველი ლეგიონერის, ლევან კობიაშვილის სიტყვებია.

ერთი სიტყვით, მხოლოდ ევროფეხბურთთან ზიარების შემდეგ გახდა ქართველი ფეხბურთელებისთვის ცნობილი, რომ ის, რაც ეროვნულ ჩემპიონატში ჰყოფნის მოთამაშეს, ევროპაში ოდნავაც არ არის საკმარისი და რომ... ერთი სიტყვა ყველაფერს იტყვის — ჩამოვრჩით. ჩამოვრჩით უსაშველოდ.

ჩემპიონთა ლიგის საწყისმა ჯგუფურმა ტურნირმა კიდევ უფრო გაამლიერა ეს შთაბეჭდილებები. ის კალაძე, რომელიც შუა ვარჯიშისას ეცემოდა, ახლა ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი ნახევარფინალისტის საკვანძო მოთამაშეა.

ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი და წლევანდლიდან ლევან ცქიტიშვილიც თითქმის თანაბრად ეთამაშებიან იმ „ბაიერნს“, „ჰერტას“ თუ „ბაიერს“, რომლებიც ამინდს ქმნიან ჩემპიონთა ლიგაში. ანუ ამ ქართველ ლეგიონერთა პროგრესიც აშკარაა.

ახლა როგორ ათამაშდა პროზაულად საშუალო შვეიცარიულ ჩემპიონატში აქ უსაქმოდ, უგუნდოდ და უპერსპექტივოდ მყოფი ჯამარაული?

რეჟიმმა, კვებამ, სტრატეგიამ, პროცესმა და საერთოდ საქმისადმი სწორმა მიდგომამ აქცია ეს ბიჭები საქართველოს ნაკრების შეუცვლელ ფეხბურთელებად. ევროპულმა ფეხბურთმა აქცია.

### შე ჯაგლაგო ეროვნულო...

ახლა ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რა დაემართებოდათ ნებისმიერ ზემონახსენებ და კიდევ სხვა ლეგიონერ ფეხბურთელებს, ისინი რომ საქართველოში დარჩენილიყვნენ...

დაიკარგებოდნენ. ისევე როგორც მრავალი დაკარგულა.

იმიტომ, რომ ერთფეროვნება საერთოდ მოსაწყენი რამაა და მით უმეტეს, ცუდი ერთფეროვნება.

ეს ცუდი ერთფეროვნება კი დაახლოებით ასეთი რამაა — სეზონის წინ გუნდის მესვეურთა ტრაბახი, რომ ყველაფერი ცუდი წარსულს ჩაბარდა, რომ ამ სეზონიდან ახალი ეპოქა იწყება, შეკრება შეკრებას დაემგვანება, ინფრასტრუქტურა ინფრასტრუქტურას, ანაზღაურება კი, რას ამბობთ, მთლად „ინტერივით“ თუ არა, ევროპის საშუალო გუნდების დონემდე მაინც და ამისთანები...

მერე კი... მერე ყველაფერი ძველებურად გრძელდება — „დინამო“ ჩემპიონია, „ტორპედო“ პრიზიორი, „დილა“ ცხრილის შუაგულში ზის, „სიონი“ ან „სამგურალი“ ჯგუფში დარჩენისთვის იბრძვის და ასე მუდამ...

რა უნდა ისწავლოს, რით უნდა გაიზარდოს ფეხბურთელი ამგვარ პირობებში? მე შენ გეტყვი გამზრდელ-მასწავლებლები ჰყავთ ისეთი, გამოუტენიან თავს სათამაშო რამერუმეებით.

მწვრთნელი რომ ფეხბურთელს წაგებული მატჩის შემდეგ პროფესიის შეცვლის მეტს ვერაფერს ურჩევს და კატასტროფული ანგარიშით წაგებული თამაშის შესახებ — შეცდომა არ დამიშვიაო — იტყვის, იქ რამეს მომავალი აქვს?

იქ ფეხბურთელი გაიზრდება? იქ ასაკობრივ ცენზზე ან სხვა ამდაგვარზე საუბარი შეიძლება?

არა.

### გამოსავალი

გამოსავალი ხმამაღალი სიტყვაა, ეს პოზიცია უფროა, ერთ-ერთი პოზიცია ბევრიდან. მისი მიზანი კი, ისევე როგორც დანარჩენისა, ერთია — ქართული ფეხბურთის საშუალო დონის აღორძინება.

ჩვენი ფეხბურთის მაღალი ეშელონებიდან ახალი ლოზუნგი წამოვიდა (სხვათა შორის, მშვენიერიც) — ქართული ფეხბურთის აღორძინება ეროვნული ჩემპიონატის აღორძინებით უნდა დაიწყოსო.

მაგრამ რას ნიშნავს, როგორ უნდა დაიწყოს ეროვნული ჩემპიონატის აღორძინება? „ტოტო ლოტოს“ მოგებიდან 20-პროცენტიანი გადმონარიცხით? მსაჯებისთვის სამასლარიანი ხელფასის ოთხასლარიანით შეცვლით? თექვსმეტგუნდა ჩემპიონატის თორმეტგუნდად გადაკეთებით?

კიდევ ბევრი რამის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერც ერთი მათგანი ეროვნულ ჩემპიონატს ვერ ააღორძინებს.

საქმე ის არის, რომ „ტოტო ლოტოს“ ჯერ თავისი უჭირს, მისი მოგების 20 პროცენტი კი ქაცვის ქანჩის ფულადაც არ ეყოფა ჩვენს ფეხბურთს.

საქმე ის არის, რომ ხელფასის ასი ლარით გაზრდა ვერ აიძულებს გუნთაძეს ან ლაცაბიძეს, „დინამოს“ (ანაც სხვა გუნდის) სასარგებლოდ არ შეცდნენ და დასანიშნი პენალტი არ დანიშნონ, ანაც არჩასათვლელი გოლი ჩათვალონ.

საქმე ის არის, რომ ამ დონის გუნდი გინდ თექვსმეტი გყავდეს, გინდ ასორმოცდათექვსმეტი — პაოკთან ასორმოცდათექვსმეტივე წააგებს.

ოპტიმისტები მაინც არ ილევიან — თავის დროზე ყველაფერს მოვესწრებითო, იქუხებს ჩვენი ფეხბურთიო, ცოტა გვაცალეთო.

ვის რა ცალები ჰკიდია ასეთი, ყველა ყველაფრისთვის რომ იცლის, ჩვენი ფეხბურთის გარდა. პრობლემებზე საუბარი გაგვიგრძელდა და ახლა პოზიციაზეც.

ვფიქრობთ, ქართულმა ფეხბურთმა მაგალითი ქართული კალათბურთიდან უნდა გადმოიღოს. კერძოდ, ფეხბურთელები ახალგაზრდული ასაკიდანვე უნდა მიავლინოს ევროპაში (საშუალო დონის გუნდში, რა თქმა უნდა). იქ, სადაც ნამდვილი ფეხბურთის გემო ისინჯება.

შორეულ წარსულში არ წავალთ. მაგალითად მოვიყვანოთ ახლანდელი ქართველ კადეტ კალათბურთელთა თაობა და მათზე ოთხი-ხუთი წლით უფროსები.

ვისაუბროთ, ამ „ოთხი-ხუთი წლით უფროსებზე“. მათ ევროპა იცნობდა თავის დროზე. სიმაღლით, ნიჭით, სხვა მონაცემებით ნაცვლიშვილი, სტეფანია, ქარაბაკი, ჟღენტი, ბერძენიშვილი და ოქრუაშვილის სხვა შეგირდები თავის უცხოელ თანატოლებს თუ არ სჯობდნენ, ბევრით [illegible] ჩამოვარდებოდნენ.

[illegible] ოქრუაშვილის [illegible] ბიჭების „[illegible]“ საქართველოს ჩემპიონიც ვერ გახდა, მათი ევროპელი თანატოლები კი... ჰეე, სად არიან მათი ევროპული თანატოლები...

ერთადერთმა ვოვა სტეფანიამ გაამართლა იმედები და დღეს იგი „სიეტლის“ ლამის პირველი ცენტრია. და როგორ გგონიათ, ვოვა რომ NBA-შია, ეს ქართული კალათბურთის ტრადიციების, ქართული ნიჭის, ანაც თავად კალათბურთელის დიდი დამსახურებაა?

ვლადიმერ სტეფანიამ ერთხელ გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯი, საქართველოდან წავიდა, თორემ მერე მისი NBA-მდე გაზრდა კვალიფიციური მწვრთნელების და ევროპული კალათბურთის შედეგი იყო.

ამიტომაცაა სასიხარულო, რომ სტეფანიას გზას მასზე წლებით უმცროსი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ნიჭიერი ბიჭებიც გაჰყვნენ. ცქიტიშვილი, ბოისა, უგრეხელიძე, კეიდია სლოვენიურ კალათბურთში იხვეწებიან და აღარ დაიკარგებიან...

ეს არის მთავარი

ის კი სამწუხაროდ მეორეხარისხოვანია (უკვე), რომ „ვითა“ იშლება და „ბასკო“ იქმნება. ქართული კალათბურთისთვის ეროვნულმა ჩემპიონატმა აზრი არა და, მნიშვნელობა დაკარგა.

იგივე სიტუაციამდე მივდივართ ფეხბურთშიც. რომელი გუნდის რამდენი ფეხბურთელი გამოცადეს ეროვნული ჩემპიონატიდან საქართველოს ნაკრებში? და რა მიიღეს ამით? ნაკრებში ისევ ის ფეხბურთელები შეექნათ მოსაწვევი, ვინც ავად თუ კარგად ევროპულ დონეზე თამაშობს. მათ გარკვეულ სიმაღლეს მიაღწიეს, ისინი კი, მათსავით ნიჭიერები, ვინც ქვეყნის შიგნით დარჩა, დაიკარგა, გაიყინა, არ შედგა...

ქართულ სპორტში კადეტთა ასაკის შემდეგ სპორტსმენი ველარ იზრდება. განა მარტო ფეხბურთში — კალათბურთში, ძალოსნობაშიც, თითქმის ნებისმიერ სახეობაში. ეს იმიტომ, რომ ველარ იზრდებიან მწვრთნელები.

ფეხბურთზე ვწერთ და რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ჩვენი საფეხბურთო მწვრთნელებისთვის, სიმართლე უნდა ვთქვათ — მათ უბრალოდ არ იციან თანამედროვე ფეხბურთი.

ფეხბურთი, რომელზეც იმდენს (ცოტა მეტსაც) ფიქრობენ თანამედროვე მწვრთნელები, რამდენსაც მოჭადრაკე ჭადრაკის რთულ ნიუანსებზე.

თანამედროვე ფეხბურთი ჭადრაკივით სპორტთან ერთად მეცნიერულ რალაცეებსაც ატარებს და ამიტომ გახდა თანამედროვე მწვრთნელის სიმბოლო კომპიუტერთან მჯდომი ვან გაალი, ანაც ნილ სემბი.

ანუ ხალხი, ვინც გოლებს და ფულს არა, ნაბიჯს, პულსს, სანტიმეტრს ითვლის. ვისაც მწვრთნელობა მხოლოდ პატრიოტულ თემაზე მონოლოგი არ ჰგონია.

და რახან შინაურ ფეხბურთში ახალგაზრდა ფეხბურთელი ველარაფერს ისწავლის დაახლოებით თვრამეტი წლის შესრულების შემდეგ, ის უცხოეთში უნდა წავიდეს. ყველა ვერ წავა, მაგრამ ნიჭიერი ნამდვილად მოძებნის თავის გუნდს და ადგილს.

მოძებნის, ფეხბურთს ისწავლის და საქართველოს ნაკრებს გამოადგება. რაც შეეხება ეროვნულ ჩემპიონატს და საკლუბო ფეხბურთს...

გვააქვს, რო?!

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ლევან კობიაშვილმა და კახა კალაძემ თავს დროზე უშველეს

---

**გადაწყდა** — „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“ საბერძნეთს ერთად გაემგზავრებიან. მოგეხსენებათ, 30 სექტემბერს სალონიკსა და ათენში ქართული კლუბები უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის საპასუხო შეხვედრებს გამართავენ შესაბამისად პაოკ-თან და აეკ-თან.

გუშინდელ „სარბიელში“ თბილისში მოარული ვარაუდის შესახებ გამცნეთ. ჩვენს ინფორმაციაში „ლოკომოტივის“ კულუარებიდან გამოსული ამბის შესახებ იყო საუბარი — კერძოდ, რკინიგზელები სალონიკს წასვლას ავტობუსით აპირებენო, მაგრამ ეს ვარაუდი არ აღმოჩნდა მართალი. სიმართლე კი „სარბიელმა“ „ლოკომოტივის“ ვიცე-პრეზიდენტ ტარიელ ღვაბერიძესთან სატელეფონო საუბარში შეიტყო:

## შაური შენ, შაური მე...

— საბერძნეთში 29 სექტემბერს გადავფრინდებით ქუთაისის „ტორპედოსთან“ ერთად. რეისი ჩარტერული იქნება. „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივს“ შორის უკვე არსებობს წინასწარი შეთანხმება და არა მგონია, რაიმე შეიცვალოს.

ვფიქრობთ, შანსდაკარგული „ლოკომოტივის“ მესვეურებმა საუკეთესო გამოსავალს მიაგნეს. სალონიკის პაოკ-თან რკინიგზელები იმდენად დიდი ანგარიშით დამარცხდნენ თბილისში, მომდევნო ეტაპზე მათი გასვლის ყოველგვარი იმედი გადაიწურა, მაგრამ არც ის შეიძლება, მეტოქის მინდორზე სათამაშოდ არ გამოცხადდნენ და უნდათ თუ არა, სალონიკში მაინც უნდა ითამაშონ.

აქედან გამომდინარე, გასაგებია ქართული კლუბის მამების პოზიცია — რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯებით (ღმერთმა ქნას, გოლებითაც) მოიარონ საბერძნეთი და ჩარტერულ რეისში „ტორპედოსთან“ შეზიარება სწორედაც რომ გვარიანი გამოსავალია.

ხოლო ის, თუ რა თანხა დაზოგეს ამ შეამხანაგებით ჩვენმა ევროელჩებმა, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ თუკი ჩარტერული რეისის საშუალო ფასს ვიანგარიშებთ (ქართული მასშტაბებით 50 ათას დოლარამდე), ამ შემთხვევაში „ტორპედომაც“ და „ლოკომოტივმაც“ საკმაო გონიერება გამოიჩინეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# მეტი მოუვიდათ

## როგორი იქნება მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი?



„მარაკანა" ნელ-ნელა ინგრევა

ინგლისის თასის გათამაშებაზე უარის თქმა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" იოლი არ იყო. გუნდი უკვე მიხვდა იმას, რაც ბევრ მიმომხილველსა და გულშემატკივარს ჯერ ვერ გაუთავისებია — გაუსაძლისი და დაძაბული გრაფიკი ფეხბურთელებს მძიმე ტვირთად დააწვა.

საშინაო თასის გათამაშებები უმრავლეს ქვეყნებში არასოდეს ყოფილა ძალიან პოპულარული. რუკაზე მხოლოდ რამდენიმე წერტილია — ინგლისი, შოტლანდია, გერმანია და ესპანეთი, სადაც ქვეყნის თასს ძველი და ძლიერი ტრადიციები აქვს. დანარჩენებისათვის კი ეროვნული თასი ევროსარბიელზე გასვლის პერსპექტივით თუ მართლდებოდა.

ბოლო წლებში „მანჩესტერ იუნაიტედი", ისევე, როგორც ძლიერ კლუბთა უმრავლესობა, ტურნირების დაყოფის გზას დაადგა. პრაქტიკული პრიორიტეტების გათვალისწინებით ისინი მთავარ და მეორეხარისხოვნებად გაიმიჯნა.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ, რამდენიმე საათში „მანიუმ" რთული თავსატეხის გადაწყვეტა დაიწყო — როგორ ებრძოლათ მომავალ სეზონში შვიდ ტურნირში: საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი, საკონტინენტთაშორისო თასი, ევროპის სუპერთასი, ჩემპიონთა ლიგა, პრემიერლიგა, ინგლისის თასი და ლიგის თასი...

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას და სპორტის მინისტრ ტონი ბენქსს ეგონათ, კომპიუტერის დახმარებით ყველაფერი იოლად დალაგდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს გაცილებით რთული აღმოჩნდა. და მიხვდა, „მანჩესტერი", რომ ერთადერთი რეალური ალტერნატივა ზემოჩამოთვლილი ტურნირებიდან რომელიმეს გაწირვა იყო. გუნდმა ინგლისის თასის გათამაშებაზე უარი თქვა. რაინდობამინიჭებულმა ალექს ფერგიუსონმა კი დაიწუწუნა: „რა უნდა გვექნა? შეუძლებელია, მატჩების გაუთავებლად მატებას გაუძლო. ამიტომ მსხვერპლი უნდა გაგვეღო. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, ინგლისის თასი ხომ პირველი ჯილდოა, რომელიც „მანჩესტერთან" ერთად მოვიგე. თუმცა ახლა შანსი მოგვეცა, ინგლისისთვის უფრო მეტი გავაკეთოთ და მას გამოყენება სჭირდება".

„მანჩესტერ იუნაიტედის" საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა 2006 წლის მსოფლიოს თასის მასპინძლობის საქმეში ინგლისს დიდი ვერაფრით დაეხმარება, მაგრამ სხვა შემთხვევაში „მანიუ" მოწინააღმდეგეების იოლი სამიზნე გახდებოდა. მათ რომ ტურნირში მონაწილეობაზე უარი ეთქვათ, გერმანია და სამხრეთ აფრიკა ინგლისს არაკორექტულ თამაშში დაადანაშაულებდნენ.

ყველაფერი ეს გაზრდილი დაძაბულობის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ყველა ხვდება, რომ ევროპულმა ფეხბურთმა გადატვირთვის ზღვარს მიაღწია და ამ სიტუაციას მხოლოდ მდიდარი კლუბები თუ გაუძლებენ. ისეთები, რომელთაც გრძელი სათადარიგოთა სკამი აქვთ. ყველაზე რთულ მდგომარეობაში კი ინგლისური გუნდები არიან, ისედაც მძიმე კალენდარი მათ კიდევ უფრო დაეტვირთათ.

იანვარში ბრაზილიაში საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება და „მანჩესტერი" დედამიწის საუკეთესო კლუბის გვირგვინისთვის იბრძოლებს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რამდენად მეტ დატვირთვას მიიღებენ ფეხბურთელები. როგორ შედეგი მოჰყვება გაუთავებელ მატჩებსა და მგზავრობას, ძნელი სათქმელია. ამიტომაც, ოდნავ სული რომ მოეთქვათ, მანჩესტერელებმა ინგლისის თასზე უარი თქვეს.

ვის უნდა ვუმადლოდეთ, ახალი ტურნირი რომ იბადება? ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს, თუ სპორტის მინისტრ ბენქსს? არა, ეს ყველაფერი საფეხბურთო ადმინისტრირების ვეტერანის ჟოაო ავალანჟის დამსახურებაა. ფიფას პრეზიდენტად 24-წლიანი მუშაობის შემდეგ ავალანჟი წავიდა, მაგრამ მისი აჩრდილი კვლავ იქაა და პირველ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატს დასტრიალებს.

ექვსი წლის წინათ ავალანჟმა მთელს დედამიწაზე გადაჭიმულ თავის იმპერიას მოავლო თვალი და თანაშემწეებს უთხრა: „როცა ფიფას პრეზიდენტი გავხდი, მხოლოდ ერთი ტურნირი — მსოფლიოს ჩემპიონატი გვქონდა. ახლა ვატარებთ ახალგაზრდების, ჭაბუკების, ქალთა და დარბაზის მსოფლიოს ჩემპიონატებს. ყველაფერი რომ დავაგვირგვინოთ, საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატიც გვჭირდება.

მოგვიანებით ავალანჟი გამოტყდა, რომ ეს აზრი „ყველასათვის" არ უთქვამს, მაგრამ მისი იდეა ძლიერ ფესვს დაეყრდნო, განსაკუთრებით აფრიკასა და აზიაში. ამ ქვეყნების საფეხბურთო წრეები განაწყენებული იყვნენ იმით, რომ ევროპა და სამხრეთ ამერიკა ყოველი წლის დეკემბერში საკონტინენტთაშორისო თასს ათამაშებდნენ და არაოფიციალურ საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონს არკვევდნენ.

ევროპელებმა ავალანჟის იდეა უარყვეს. თუმც 1996 წელს, როცა ავალანჟმა ფიფადან თავისი წასვლის შესახებ განაცხადა, მოასწრო და მაშინ ამ ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, ზეპ ბლატერს დაავალა მისი იდეის განხორციელება ბოლომდე მიეყვანა. მერე ბლატერმა ავალანჟი შეცვალა და დავალებაც შეასრულა — იანვარში მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება. მასპინძელი ქვეყნის ვინაობაც ეჭვს არ იწვევდა. ჩემპიონატი ავალანჟის სამშობლოში, ბრაზილიაში ჩატარდება. გამორიცხული არაა, მომავალში ამ ტურნირს ჟოაო ავალანჟის თასიც დაერქვას.

რაც შეეხება საკუთრივ ტურნირს, ევროპაში ყველაფერი გარკვეულია. ბებერ კონტინენტს ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული „მანჩესტერ იუნაიტედი" წარმოადგენს. სხვაგან კი ჯერ გაურკვევლობაა. ეროვნული პირველობების ვადებიდან გამომდინარე, ცნობილი არაა, რომელი გუნდები, შარშანდელი თუ წლევანდელი ჩემპიონები ჩაებმებიან გათამაშებაში. მაგალითად, სამხრეთ ამერიკა, შარშანდელი ჩემპიონის — „პალმეირასის" ნაცვლად „ვასკუ და გამას" გამოიყვანს.

ტურნირში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. მათ შორის იქნება საკონტინენტთაშორისო თასის დღევანდელი მფლობელი მადრიდის „რეალიც". აზია ბრაზილიაში სუპერთასის შარშანდელ გამარჯვებულს მიავლენს. ვინ იქნებიან ოკეანიიდან, ცენტრალური და ჩრდილოეთ ამერიკიდან, ჯერ ცნობილი არაა. აფრიკელებმა თქვეს, რომ ტურნირზე 1999 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელის მივლენა სურთ. მაგრამ ეს გუნდი დეკემბერში გახდება ცნობილი, განაცხადების შეტანის ბოლო ვადა კი 3 ოქტომბერია. ბრაზილიელებს, მასპინძლის კვალობაზე ერთი დამატებითი ადგილი ეკუთვნით და გადაწყვიტეს, ქვეყნის ჩემპიონი, სან პაულოს „კორინთიანსი" ათამაშონ.

გათამაშების სქემა ასეთია. გუნდები ორ ოთხგუნდიან ჯგუფებად დაიყოფიან. ერთი ჯგუფი რიო დე ჟანეიროში „მარაკანაზე" ითამაშებს, მეორე სან პაულოში „მორების" სტადიონზე. გამარჯვებულები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით ცნობილი არაა, გაიმართება თუ არა ნახევარფინალები. არ დაუდგენიათ ფინალური მატჩის ადგილიც. მიზეზი „მარაკანას" სტადიონის სავალალო მდგომარეობა გახლავთ. ამ სარბიელზე 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩები გაიმართა, მას შემდეგ კი ინგრევა. თვით ავალანჟმაც კი აღიარა, ყველაზე კარგი გამოსავალი „მარაკანას" თავიდან აშენება იქნებოდაო. „მარაკანას" ფაქტორი ერთ-ერთი უმთავრესია, რის გამოც ბრაზილიას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის საქმეში ინგლისის, გერმანიისა და სამხრეთ აფრიკის სერიოზულ კონკურენტად აღარ მიიჩნევენ.

ერთი სიტყვით, იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი" აბსოლუტურ გაურკვევლობაში სამოგზაუროდ წავლენ. ერთი რამ ცხადია, უეფას პრეზიდენტის ლენარტ იუჰანსონის არაერთგზის კრიტიკის მიუხედავად, ტურნირი უეჭველად ჩატარდება. როგორც ამბობენ, აუცილებელი არაა შეჯიბრი ყოველთვის იანვარში გაიმართოს. ეს თარიღი პირველი ჩემპიონატის ორგანიზატორებისთვის იყო ხელსაყრელი. სწორედ ამ დროს მთავრდება ბრაზილიის პირველობა. მომავალში მასპინძელი ქვეყნის შერჩევისას გაითვალისწინებენ როგორც კლიმატურ პირობებს, ასევე ორგანიზატორის საშინაო კალენდარსაც.

ერთი რამ კი ყოველთვის უცვლელი დარჩება. ევროპული გუნდები კარგად უნდა დაფიქრდნენ, რას შეიძლება შეეჭიდონ და რა სცილდება შესაძლებლობების ზღვარს.

**ქირ რედნიჯი „უორლდ სოკერი"**

# სპორტის მამათა ვარსკვლავთცვენა ჟენევაში

უეფამ ჟენევის ტბის ნაპირას შტაბბინის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით ოფიციალური ცერემონიალი გამართა. კონსტრუქცია, რომელიც დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაჯდა, 3 წელი შენდებოდა და მასზე ცნობილი არქიტექტორი ბერგერი მუშაობდა.

საპატიო სტუმართა შორის იყვნენ — ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. გახსნის ცერემონიალზე უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ღირშესანიშნავი დღე და განაცხადა, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ახალი ათასწლეულის მიჯნაზე.



უეფას ახალი შტაბბინა ჟენევის ტბის პირას

„ჩვენ დიდხანს ვმუშაობდით და საბოლოოდ შევქმენით ერთიანი ევროპული ფეხბურთის სახლი, სადაც ყველა ერთად ვიქნებით — კლუბები, ლიგები, კომიტეტები. ევროპაში ფეხბურთი ყვავის და დღევანდელი დღე ამის ნათელი მაგალითია" — განაცხადა იუჰანსონმა.

ოთხშაბათს ჟენევაში მსოფლიოს სპორტის მამების ვარსკვლავთცვენა იყო, ხოლო ერთი დღით ადრე უეფას წევრმა ქვეყნებმა რიგით მეთერთმეტე კონფერენცია გამართეს, სადაც მრავალი საჭირბოროტო საკითხი განიხილეს — ჩემპიონატების ორგანიზება, ეროვნული ნაკრებების მომავალი, ევროტურნირების ჩატარების სტრუქტურა.

გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის — ეგიდიუს ბრაუნის განცხადებით, ეს შეხვედრა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი გახლდათ ევროპული და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში. მან წარმომადგენლებს სოლიდარობისკენ მოუწოდა და დასვა საკითხი წვრილ საფეხბურთო ქვეყნებს დახმარებოდნენ.

მონაწილეები მსაჯობისა და დოპინგ-კონტროლის პრობლემებსაც შეეხნენ.

## EURO 2000

ახალგაზრდული ნაკრებები

UNDER-21 Championship

### IX ჯგუფი

**ბოსნია 3:4 ბელგია**

1:0 ზუბანოვიჩი (35), 2:0 სიმიჩი (55), 3:0 დიუმოვიჩი (65), 3:1 რუსელი (67), 3:2 სონკი (70), 3:3, 3:4 რუსელი (80, 82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 9 | 8 | 1 | 0 | 16:2 | 25 |
| ბელგია | 9 | 7 | 1 | 1 | 28:8 | 22 |
| ლიტვა | 9 | 4 | 1 | 4 | 12:9 | 13 |
| შოტლანდია | 8 | 3 | 2 | 3 | 15:10 | 11 |
| ბოსნია | 8 | 1 | 1 | 6 | 9:22 | 4 |
| ესტონეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 4:33 | 0 |

## ინგლისი

### ლიგის თასი. II ეტაპი.

საპასუხო მატჩები

**ასტონ ვილა** — ჩესტერი 5:0 (1:0); **ბოლტონი** — ჯილინგემი 2:0 (4:1); **ბორნმუთი** — ჩარლტონი 0:0დ.დ. (0:0) ბორნმუთმა პენალტებით 3:1 გაიმარჯვა; როვერსი — **ბირმინგემი** 0:1 (0:2); **ფულემი** — ნორვიჩი 2:0 (4:0); იფსვიჩი — **ძრიუ** 1:1 (1:2); ლეიტონი — **გრიმსბი** 1:0 (1:4); **ლივერპული** — ჰალი 4:2 (5:1); **მიდლსბრო** — ჩესტერფილდი 2:1 (0:0); ნოტსი — **ჰადერსფილდი** 2:2 (1:2); **პრესტონი** — შეფილდ იუნაიტედი 3:0 (0:2); **საუთჰემპტონი** მანჩესტერ სიტი 4:3დ.დ., 3:3 (0:0); სტოკპორტი — **ბარნსლი** 3:3დ.დ., 2:2 (1:1); უოლსოლი — **სანდერლენდი** 0:5 (2:3); უიკომბი — **ვესტ ბრომვიჩი** 3:4 (1:1); უიგანი — **უოტფორდი** 3:1 (0:2); **უიმბლდონი** — კარდიფი 3:1 (1:1); **ბლექბერნი** — პორტსმუთი 3:1 (3:0); ბრისტოლი — **ნოტინგემი** 0:0 (1:2); ქოვენთრი — **ტრანმერი** 3:1 (1:5); **დერბი** — სუონსი 3:1 (0:0); ევერტონი — **ოქსფორდი** 0:1 (1:1); **ლესტერი** — კრისტალ პალასი 4:2 (3:3); რედინგი — **ბრედფორდი** 2:2დ.დ., 1:1 (1:1); **უენსდი** — სტოკი 3:1 (0:0)

*ფრჩხილებში — პირველი მატჩის შედეგი*

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. A ჯგუფი

### ლაციო 2:1 დინამო

0:1 რებროვი (67პ), 1:1 ნეგრო (69), 2:1 სალასი (71)
ლაციო: ბალოტა, ნეგრო, ფავალი, ნესტა, მიხაილოვიჩი, ნედვედი, ალმეიდა, სტანკოვიჩი (სალასი 52), ვერონი (ლომბარდო 81), ბოკშიჩი, მანჩინი (სიმეონე 74)
დინამო: შოვკოვსკი, გერასიმენკო (კონოვალოვი 46), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ქალაძე, კორმილცევი (კოსოვსკი 46), გუსინი, ფიოდოროვი, შაცკიხი (ვენგლინსკი 83), რებროვი
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“ საოცარი ოთხი წუთი იხილა მაყურებელმა. ჯერ იყო და კიეველებმა პენალტით გახსნეს ანგარიში, მერე კი რომაელებმა ზედიზედ ორი გოლი შეაგდეს და სამი ქულა ჩაითვალეს.

კიეველთა პენალტი რომაელი მცველის, სინიშა მიხაილოვიჩის კიეველ სერგეი კონოვალოვთან პატიოსან ორთაბრძოლას მოჰყვა. ეს ორთაბრძოლა შეხვედრის მსაჯმა, ესპანელმა მანუელ დიას ვეგამ წესის დარღვევად ალიქვა და სერგეი რებროვს სტუმართა დაწინაურების საშუალება მისცა.

როგორც ჩანს, გამოგონილმა პენალტმა „ლაციოს“ მოთამაშეები კიდევ უფრო გაალიზიანა და თუ მანამდე ბურთს უმეტესად, მწვავე მომენტების შექმნის გარეშე, ისინი ფლობდნენ, მის მერე ორი ელვისებური გოლი შეაგდეს.

მიხაილოვიჩმა, რომელმაც ადრე საჯარიმო დარტყმით ძელს გაარტყა ბურთი, შეუტია, მარცხენა ფრთაზე იტრიალა და კიეველთა საჯარიმოში ჩააწოდა პასი, სადაც პაოლო ნეგრო მეურვეზე მაღლა აზტა, თავური დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. ანგარიშის გათანაბრებიდან ორი წუთის შემდეგ კი მონათესავე კომბინაცია ახლა უკვე ალენ ბოკშიჩის პასით, მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკის შეცდომით და აბსოლუტურად უმეთვალყურეოდ დარჩენილი მარსელო სალასის გოლით დასრულდა. სალასმა ბურთი მკერდით ჩამოიღო და კუთხეში დაუმიზნა.

„პენალტმა სხვანაირად აგვამუშავა“ — თქვა „ლაციოს“ პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ — „ბოკშიჩი ყველას ჯობდა. დიდებული იყო სალასიც. ჩვენმა გუნდმა საფეხბურთო ცხოვრების ავ-კარგი ჩინებულად იცის და ამან მებრძოლი ხასიათი ჩამოგვიყალიბა“.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ შედეგმა თამაშის შინაარსი კარგად ასახა. ბოკშიჩმა, პაველ ნედვედმა და რობერტო მანჩინიმ კიეველთა დაცვის სიმყარე საკუთარ თავზე იწვნიეს. შეტევის დროს უპირატესად შორეულ დარტყმებს მიმართავდნენ.

მოკლედ, სვენ გორან ერიკსონის გუნდისთვის ყველაფერი კარგად დამთავრდა თუ ნედვედის, მიხაილოვიჩის, სტანკოვიჩის, ალმეიდასა და ფავალის ყვითელ ბარათებს არ ვიგულისხმებთ. მართალია, „ლაციოს“ ფეხბურთელთაგან მომავალ ტურში სლოვენიურ „მარიბორთან“ შეხვედრას არავინ გამოტოვებს, მაგრამ ჩამოთვლილი გაფრთხილებები დამოკლეს მახვილივით დაეკიდა რომაელთა თავთს ზემოთ.

### მარიბორი 0:2 ლევერკუზენი

0:1 ჟივკოვიჩი (82), 0:2 კირსტენი (90)
მარიბორი: სიმეუნოვიჩი, ვუგდალიჩი, სესლარი, ჟიდანი, ჩიპი, დიურანოვიჩი, ბალაჯიჩი (დრაგუშა 84), გალიჩი, ფილეკოვიჩი (პრეგელი 52), ბოზგო, სიმუნძა
ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაჩი, ნოვოტნი (რობსონ პონტე 70), ჟივკოვიჩი, გრეშკო, რამელო, შნაიდერი, ემერსონი, ბაინლიხი, ნოივილი (ტოასი), კირსტენი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

თამაშის ბოლო რვა წუთში გატანილმა ორმა გოლმა ლევერკუზენის „ბაიერს“ ჩემპიონთა ლიგის A ჯგუფში პირველი გამარჯვება მოუტანა. სლოვენთა წინააღმდეგობა ჯერ ბორის ჟივკოვიჩმა, შემდეგ კი ულფ კირსტენმა დაძლიეს.

მარიბორელებმა, გეხსომებათ, პირველ ტურში კიევში, „დინამოს“ სძლიეს, ახლა კი თავდამსხმელის, დალიბორ ფილიპოვიჩისა და მცველის, მარინკო სარკეზის გარეშე, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ამჯობინეს ფიქრი.

„მართალი გითხრათ, ადრეული გოლის იმედი მქონდა, მაგრამ გაირკვა, რომ დიდი მოთმინების გამომჟღავნება გვმართებდა“ — აღიარა მატჩის შემდგომ ლევერკუზენის გუნდის მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

„მარიბორს“ დაწინაურების დიდებული შანსი ჰქონდა: კლიტონ ბოზგო მეორე ტაიმში გერმანელთა კარის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოახერხა.

მერე კი, როგორც გითხარით, მასპინძელ ქომაგებს ჟივკოვიჩმა გადაასხა ცივი წყალი — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს მან ჩინებული თავური დაჰკრა.

ბოლო წუთზე შეხვედრას წერტილი კირსტენმა დაუსვა. იგი „მარიბორის“ მცველებს დაუსხლტა და დაახლოებით 10 მეტრიდან მეორედ გადააკვეთინა ბურთს კარის ხაზი.


REUTERS ლონდონიდან

ლაციო — დინამო 2:1. რომაელი ალენ ბოკშიჩი (№8), რომელიც ამ ფოტოზე კიეველ იური დმიტრულინს ებრძვის მატჩში საუკეთესო იყო

გახარებულ დაუმს მატჩის შემდეგ არც მასპინძელთა შექება დავიწყებია: „სწორედ ამას ველოდით. „მარიბორი“ ძლიერი, კარგად დაბალანსებული გუნდი გამოდგა, რომელსაც თავდაცვა და კონტრშეტევებზე სწრაფად გადასვლა საუცხოოდ ეხერხება“.

*29 სექტემბერი: ლაციო — მარიბორი, ლევერკუზენი — დინამო*

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლევერკუზენი | | 1:1 | 2.XI | 29.IX | 3:1 | 4 |
| 2 | ლაციო | 27.X | | 29.IX | 2:1 | 3:2 | 4 |
| 3 | მარიბორი | 0:2 | 19.X | | 27.X | 1:2 | 3 |
| 4 | დინამო | 19.X | 2.XI | 0:1 | | 1:3 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. B ჯგუფი

### ბარსელონა 4:2 ფიორენტინა

1:0 ფიგუ (7), 2:0 ლუის ენრიკე (10), 2:1 ამოროზო (50), 3:1, 4:1 რივალდო (68პ, 70), 4:2 კიეზა (79)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, ბოგარდი, სერხი, რ. დე ბური, გვარდიოლა (ხავი 79), ლუის ენრიკე, კოკუ (ზენდენი 75), ფიგუ, კლუივერტი (დანი გარსია 61), რივალდო
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, ადანი, დი ლივიო, ჰაინრიხი, რუი კოშტა, კოისი, ამოროზო (კიეზა 56), მიატოვიჩი (ბალბო 86), ბატისტუტა (ამორი 76)
მსაჯი: კიმ ნილსენი (დანია)

„ბარსელონა“ ძალიან ძლიერი გუნდია, „ფიორენტინას“ კი ჩემპიონთა ლიგისთვის კლასი არ ჰყოფნის. წიგნებსა და ფილმებში ხშირია ეპიზოდი, როდესაც დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული ადამიანი არისტოკრატთა წვეულებაზე ხვდება და იბნევა, არ იცის ჩამომწკრივებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის დანა-ჩანგალ-კოვზიდან რომელი მოიმარჯვოს. რაღაც ამდაგვარ შთაბეჭდილებას სტოვებს ელიტარულ ლიგაში მოხვედრილი ფლორენციის გუნდი. ვინც ევროპის 32 უდიდესი კლუბის შეჯიბრების პირველი და მეორე ტურის ის თამაშები იხილა, „ფიორენტინა“ რომ მონაწილეობდა, შენიშნავდა, რომ ჯოვანი ტრაპატონის მოთამაშეთაგან ყველაზე შეუპოვარი ანჯელო დი ლივიო იყო. დი ლივიოს, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო ნიჭით ვერ დაიკვეხნის, ეტყობოდა, რომ არც „არსენალის“ და არც „ბარსელონას“ წინაშე თავს სოფლელ ბიჭად არ გრძნობდა და თითქოს თანაგუნდელთა მოკრძალებული ფეხბურთი უკვირდა.

რატომ? იმიტომ რომ დი ლივიომ დიდ „იუვენტუსში“ დიდებული წლები გაატარა. იგი მეტოქეთა რიდსაა ნაჩვევი. იგი თავად არისტოკრატია. კი მაგრამ გაბრიელ ბატისტუტა, ენრიკო კიეზა და პრედრაგ მიატოვიჩი?

ბატისტუტა დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ ერთი ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვერ არის, მეორეც, გავბედავთ და ვიტყვით, რომ სუპერკლუბში არასდროს უთამაშია და სუპერწარმატებებისთვის არასდროს მიუღწევია. იგივე შეიძლება ითქვას კიეზაზეც, რომელიც „ფიორენტინაში“ დიდი მილანური კლუბების ჩრდილში გამოზრდილი „პარმადან“ გადავიდა, ხოლო მიატოვიჩი, მიუხედავად იმისა, რომ „რეალში“ თამაშის დროს ჩემპიონთა თასსაც ფლობდა და ფინალში ერთადერთი, გამარჯვების გოლის ავტორიც იყო, მაინც... როგორ გითხრათ... ალბათ არც „რეალი“ ყოფილა „იუვენტუსი“ — მითუფრო რომ ესპანურ პრიმერა დივიზიონში უპირატესად „ბარსელონა“ ბატონობდა — და, მოგვიტევეთ და, არც მიატოვიჩი უნდა იყოს მთლად რივალდო.

რაც შეეხება „ბარსელონას“, მას „ფიორენტინასთან“ თამაშის დროს სხვას რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავდა, რასაც ჩაიფიქრებდა ყველაფერს უზადოდ რომ ასრულებდა.

ფლორენციელებს კიდევ მეკარე ფრანჩესკო ტოლდოსთვის მართებთ დიდი მადლობის თქმა.

„ბარსელონელები პირველივე წუთიდან ძალიან აგრესიულები იყვნენ, ჩვენ კი იგივე შეცდომები დავუშვით, „არსენალთან“ რომ მოგვივიდა“ — თქვა მატჩის შემდეგ „ფიორენტინას“ მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

„პირველ ტაიმში მეტი შანსი უნდა გამოგვეყენებინა“ — განაცხადა მასპინძელთა ჰოლანდიელმა თავკაცმა ლუის ვან გაალმა — „შესვენებამდე ფანტასტიკურად ვითამაშეთ, მაგრამ ასე ადრეც მოგვსვლია. გახსოვთ გასული გათამაშების მატჩები „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ? წინ დიდი გზაა გასავლელი“.

### არსენალი 3:1 აიკ

1:0 ლიუნგბერგი (28), 1:1 ნორდინი (53), 2:1 ანრი (90), 3:1 შუკერი (90)
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, კიოუნი, ადამსი, უინტერბერნი, ლიუნგბერგი (ანრი 69), ვიეირა, გრიმანდი (სილვინიო 57), ოვერმარსი (კანუ 69), ბერხკამპი, შუკერი
აიკ: ასპერი, კამარკი (კიოლო 46), ლიუნგი, ბრუნდინი, გუსტაფსონი, ო. ანდერსონი (კორნელიუსონი 89), ნორდინი, ტიერენსტორმი, ლაგერლოფი, ნოვაკოვიჩი (ასლუნდი 82), ა. ანდერსონი
მსაჯი: მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

ლონდონელთა გამარჯვება მსაჯის დამატებულ წუთებში ტიერი ანრისა და დავორ შუკერის გოლებმა მოიტანა. პირველ ტაიმში „უემბლის“ მინდორზე „არსენალი“ ბატონობდა. 28-ე წუთზე, როდესაც მისმა შვედმა ნახევარმცველმა, ფრედერიკ ლიუნგბერგმა თანამემამულეების კარში გოლი შეაგდო, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მასპინძლები შთამბეჭდავად გაიმარჯვებდნენ, მაგრამ შემდეგ ჯერ ერთი მომენტი გაჰყვა ქარს, მერე მეორე, მესამე... აიკის ნახევარმცველმა კრისტერ ნორდინმა კი კონტრშეტევით ისარგებლა და მეორე ტაიმის მერვე წუთზე ანგარიში გაათანაბრა.

„არსენალის“ თავგანწირული შეტევები უშედეგოდ მთავრდებოდა. გასულ სეზონში, ჩემპიონთა ლიგის სამი შეხვედრიდან მეთოფეებმა „უემბლიზე“ ერთი მოიგეს და იმქნებოდა შთაბეჭდილება, რომ ახალ გათამაშებაში გადმოყოლილი ნავსი არც ამჯერად გატყდებოდა: მარტინ კიოუნმა თავური ძელს გაარტყა, ანრიმ ოდნავ ააცილა, როდესაც შვედი მეკარე მატიას ასპერი ჩამოიტოვა...

მსაჯის დამატებული დროის პირველი წუთი რომ მიმდინარეობდა მეტოქეთა მცველებში შერეული ნვანკვო კანუ წაიქცა, მაგრამ ბურთის უმეთვალყურეოდ დარჩენილი ანრისთვის გადაგდება მოახერხა. ფრანგმა ბურთთან ურთიერთობაში შეცდომა არ დაუშვა, იგი ასპერს არ მიაკარა და 70 ათასი ლონდონელი გულშემატკივრის გასახარად გოლი შეაგდო.

დაახლოებით ერთ წუთში შუკერის ზეიმის დრო დადგა. როდესაც აიკი გაქვითვის იმედით „არსენალის“ ნახევარს მიაწვა, ბერხკამპმა შეტევა ჩაუშალა და ანრის გადააწოდა ბურთი. ანრი დიდებულ პოზიციაში გახლდათ, სირთულე არ შეხვედრია — შუკერს უმარტივესი გოლი გაატანინა.

*29 სექტემბერი: ბარსელონა — არსენალი, აიკ — ფიორენტინა*


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — აიკ 3:1. ლონდონელი პატრიკ ვიეირა ნებოისა ნოვაკოვიჩისგან დასხლტომას ცდილობს

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 29.IX | 4:2 | 27.X | 6:3 | 6 |
| 2 | არსენალი | 19.X | | 27.X | 3:1 | 3:1 | 4 |
| 3 | ფიორენტინა | 2.XI | 0:0 | | 19.X | 2:4 | 1 |
| 4 | აიკ | 1:2 | 2.XI | 29.IX | | 2:5 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. C ჯგუფი

### დორტმუნდი 3:1 ბოავიშტა

1:0 მიოლერი (40), 1:1 რუი ბენტუ (44), 2:1, 3:1 ბობიჩი (53, 64)
დორტმუნდი: ლემანი, როიტერი, კოლერი, ევანილსონი, რიკენი, ადო (სტევიჩი 77), ნერლინგერი, დედე, რეინა (ნიეგუსი 88), ბობიჩი (ჰერლიხი 73), მიოლერი
ბოავიშტა: ბასეი, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი, ლიტუში, მარიო სილვა, როჟერიო (მარტელინიო 64), რუი ბენტუ, ატიენსა, ლუის მანუელი (ფორმოსო 44), აინფული (ესტევანი 71), ჟორჟე სიმონი
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)

დორტმუნდის „ბორუსიასთვის“ ფრედი ბობიჩი ახალი კაცია. იგი გასულ ზაფხულს „შტუტგარტიდან“ გადავიდა ჩემპიონთა თასის 1997 წლის მფლობელ გუნდში. ასეთ ყურადღებას კი მასზე იმიტომ ვამახვილებთ, რომ პორტუგალიურ „ბოავიშტას“ ორი გოლი გაუტანა.

სანამ ბობიჩი პირველ გოლს გაიტანდა, „ბორუსიასა“ და „ბოავიშტას“ ერთმანეთის კარში თითოს გატანა უკვე მოსწრებული ჰქონდათ. ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ: ანგარიში ცნობილმა გამთამაშებელმა, ანდრეას მიოლერმა გახსნა. მან პირველი ტაიმის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა.

ოთხ წუთში სტუმრებმა გაქვითეს — მცველმა რუი ბენტუმ თავური გოლი გაიტანა, შემდეგ კი ტაიმი დამთავრდა, ხოლო შესვენების შემდეგ ბობიჩის დროც დადგა.

„ჩემპიონთა ლიგაში სუსტი მოწინააღმდეგე არ არსებობს. დღეს დამსახურებულად, მაგრამ გაჭირვებით გავიმარჯვეთ“ — განაცხადა მატჩის შემდეგ „ბორუსიას“ მწვრთნელმა მიხაელ სკიბემ.

მართლაც ძნელი შეხვედრა რომ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ „ბოავიშტამ“ პირველსავე წუთზე კინაღამ გახსნა ანგარიში. ბრაზილიელი როჟერიოს თავური ოდნავ აცდა მიზანს, ხოლო მასპინძლებს მე-18 წუთამდე არ ჰქონიათ გოლის გატანის შესაძლებლობა: განელმა ნახევარმცველმა ოტო ადომ თავურითვე ძელი შეაზანზარა.

„მეტოქეს წინა ტურში 0:3 დამარცხების შემდეგ შელახული თავმოყვარეობის აღდგენა სურდა, ამიტომაც ძნელი საათნახევარი გადაგვატანინეს“ — განმარტა მიოლერმა და დასძინა — „მაგრამ ჩვენ მოთმინებამ არ გვიმტყუნა, მეორე ტაიმში მატჩის სადავეები ხელთ ვიგდეთ“.

„მატჩიდან მატჩამდე ვაუმჯობესებთ თამაშს“ — თქვა ბობიჩმა.

### რუსენბორგი 2:2 ფეიენოორდი

0:1 დალ ტომასონი (10), 1:1 კარეუ (21), 1:2 კალუ (22), 2:2 კარეუ (24)
რუსენბორგი: იამტფალი, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბრაგსტადი, იონსენი (ვესნესი 65), სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, კარეუ, იაკობსენი (დალუმი 58)
ფეიენოორდი: დუდეკი, ბოსველტი, ვან ვრონდერენი, კონტერმანი, ვან გასტელი, დალ ტომასონი, პაუვე, დე ვისერი, კალუ, კრუზი, ვან გობელი

ტრონჰეიმელები ყოჩაღ ფეხბურთს რომ თამაშობენ, ერთხელაც დამტკიცდა — „ფეიენოორდი“ ორჯერ დაწინაურდა, „რუსენბორგმა“ კი ორივეჯერ შეძლო და გაქვითა.

„რუსენბორგი“ ის გუნდი გახლავთ, გასულ კვირას „ბოავიშტას“ მის მოედანზე სამი უპასუხო გოლი რომ გაუტანა და ახლა დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ერთად ოთხი ქულით ლიდერობს C ჯგუფს, რომლის მთავარი შეხვედრა, „რუსენბორგი“ — „ბორუსიაც“ მომავალ კვირას გაიმართება. როტერდამელებს თავიდან გაუმართლდათ: მე-10 წუთზე „რუსენბორგის“ მეკარემ იორნ იამტფალმა შეცდომა დაუშვა, რითაც იონ დალ ტომასონმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

„რუსენბორგმა“ 21-ე წუთზე ჭაბუკი იონ კარეუს გოლით უპასუხა. ნორვეგიის ეროვნული გუნდის ფორვარდმა დაახლოებით 10 მეტრიდან დაარტყა ზუსტად.

შემდეგ ისევ „ფეიენოორდმა“ იმძლავრა. მასპინძლები ჯერ კიდევ კარეუს გოლს ზეიმობდნენ, როდესაც ბონავენტურე კალუმ ორ მეტოქე მცველს ჩაუქროლა და საჯარიმოს მისადგომებიდან მეორე გაუტანა.

ახლა „ფეიენოორდის“ ზეიმი გამოდგა ხანმოკლე — ისევ კარეუმ იყოჩაღა.

პირველი ტაიმის ნაპერწკლები შესვენების შემდეგ უფრო აკადემიური სტილით შეიცვალა, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მომენტები აღარ ყოფილა.

სახიფათო ეპიზოდები ორივე კართან იქმნებოდა. ის კი არა, კარეუს ჰეთ თრიქის კარგი შესაძლებლობაც ჰქონდა, მაგრამ მისი მესამე გოლი ოფსაიდიდან გატანილი გამოდგა და საბოლოოდ მეტოქეებმა ქულათა გაყოფაზე თქვეს ყაბული.

*29 სექტემბერი: რუსენბორგი — დორტმუნდი, ბოავიშტა — ფეიენოორდი*


REUTERS ტრონჰეიმიდან

რუსენბორგი — ფეიენოორდი 2:2. „ფეიენოორდის“ პოლონელი მეკარე ირჟი დუდეკი ტრონჰეიმელ ბიორნ ოტო ბრაგსტადისა და ერიკ ჰოფტუნის შეტევას იგერიებს

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუსენბორგი | | 29.IX | 2:2 | 27.X | 5:2 | 4 |
| 2 | დორტმუნდი | 19.X | | 27.X | 3:1 | 4:2 | 4 |
| 3 | ფეიენოორდი | 2.XI | 1:1 | | 19.X | 3:3 | 2 |
| 4 | ბოავიშტა | 0:3 | 2.XI | 29.IX | | 1:6 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. D ჯგუფი

### შტურმი 0:2 მანჩესტერი

0:1 კინი (15), 0:2 იორკი (31), 0:3 კოული (33)
შტურმი: სიდორჩუკი, ნოიკირხნერი, ფოდა, მაელიხი (რაინმაიერი 75), შტრაფნერი, შუპი, ვასტიჩი, პრილასნიგი (კუცუპიასი 72), მარტენსი, ფელდჰოფერი (კორსოში 72), კოციანი
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ირვინი, სტამი, ბექემი, კოული (სოლსკიაერი 76), ფ. ნევილი, კრუიფი (შერინგემი 68), კინი (უილსონი 62), სქოულზი, იორკი, ბერგი
მსაჯი: ალფრედო ტრენტალანგე (იტალია)

ჩემპიონთა თასის მფლობელმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ პირველ ტაიმში გატანილი სამი გოლით ავსტრიულ „შტურმს“ მოუგო. მოედანზე დაბრუნებულმა, მოშუშებულმა კაპიტანმა როი კინმა — მან პირველი ტურის შეხვედრა „კროაციასთან“ გამოსტოვა — ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა.

კინმა პასი დევიდ ბექემისგან მიიღო. უფრო სწორედ, ბექემმა საჯარიმო დაარტყა, ბურთი ცოცხალმა კედელმა აისხლიტა და კინის ფეხებში ამოჰყო თავი, ხოლო ირლანდიელმა ძლიერი დარტყმით იგი ხარიხის ქვეშ, ბადეში შეაგდო.

31-ე წუთზე დუაიტ იორკმა გაზარდა სხვაობა: ბექემმა ამჯერად კუთხური ჩააწოდა. ტრინიდადელმა კი თავურით ბურთი კარში შეაგდო, ხოლო ამ ამბიდან ორი წუთის შემდეგ იორკის პასით ენდი კოულმა მესამეც გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში „შტურმმა“ შტურმის მოწყობა სცადა, მაგრამ ივიცა ვასტიჩმა, რომან მაელიხმა და გიუნტერ ნოიკირხნერმა მანჩესტერელთა კარის დალაშქვრა ვერ შეძლეს.

„დღეს კვლავ ფავორიტთა ნაკადს შევუერთდით“ — განაცხადა ინგლისის ჩემპიონის მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — „მეტოქემ მეორე ტაიმის პირველ 20 წუთში ითამაშა კარგად. ამ მონაკვეთში ჩვენ მართლაც გაგვიმართლა გოლი რომ არ გავუშვით“.

55-ე წუთზე მანჩესტერელებმა ტომისლავ კოციანი საკუთარ საჯარიმო მოედანზე დასცეს, რისთვისაც თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, მაგრამ ავსტრიის ნაკრების თავდამსხმელმა, ვასტიჩმა მეკარე რაიმონდ ვან დერ გოუს ვერ აჯობა.

ერთ ეპიზოდში ბექემმა კოციანის წინააღმდეგ იუხეშა, თანაგუნდელის გამოსაქომაგებლად მაელიხი გაუშურა და მსაჯს ინგლისელთან ერთად ყვითელი ბარათი გამოსტყუა. ფერგიუსონი ბექემის გაფრთხილებამ ერთობ აღაშფოთა, თუმცა, ბუნებრივია, თავისი ფეხბურთელის უხეშობა ვერ შენიშნა, მაელიხის დანაშაული კი დაინახა და ავსტრიელის გაფრთხილებამ ერთობ ასიამოვნა.

„ბოლო 20 წუთში ჩვენი თამაში გამოშრა. თავდამსხმელები, იორკი და კოული შეუდარებელნი იყვნენ. მათ მეტი გოლის გატანა შეეძლოთ“ — ბრძანა ფერგიუსონმა.


REUTERS ზაგრებიდან

კროაცია — მარსელი 1:2. ხორვატი სტეპან ტომასი (№20) მარსელელ სიდუ კეიტას გადაეღობა

### კროაცია 1:2 მარსელი

0:1 ბაკაიოკო (5), 1:1 შოკოტა (64), 1:2 პერესი (77)
კროაცია: ლადიჩი, ტოკიჩი (შოკოტა 46), იურიჩი, ტომაში, შარიჩი, იურჩიჩი, მუხსინი, ბისკანი, ცვიტანოვიჩი (მუმლეკი 46), რუკავინა (იელიჩიჩი 76), სიმიჩი
მარსელი: პორატო, პერესი, ისა, ბერიზო, ბლონდო (ბრანდო 52), ლუკინი, დალმა, პირესი, კეიტა (რავანელი 67), გალასი, ბაკაიოკო (დიავარა 86)
მსაჯი: სტეფანო ბრაში (იტალია)

„მარსელმა“ ზაგრებში ღირსეულად გაიმარჯვა: მე-5 წუთზე იბრაჰიმ ბაკაიოკომ გახსნა ანგარიში, ხოლო საფინალო სასტვენამდე 13 წუთით ადრე სებასტიან პერესის ენითაუწერელი სილამაზის გოლმა წერტილი დასვა. ამ გოლებს შორის ტომო შოკოტამ გაათანაბრა ანგარიში.

შოკოტა მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა, როდესაც „კროაციას“ არგენტინელმა მწვრთნელმა, ოსვალდო არდილესმა თავდასხმის გაძლიერება სცადა, თუმცა იმას, რაც 77-ე წუთზე მოხდა წინ ვერაფერი დაუდგებოდა: სტეფან დალმას პასი და პერესის დარტყმა ერთ რამედ ღირდა.

შეხვედრის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მილენკო მუმლეკმა ძელს გაარტყა ბურთი, ხოლო შოკოტას ახლო თავური გოლკიპერმა აუღო.

„ძალიან ბევრი კარგი შანსი გვქონდა. ზოგჯერ ასეთი მომენტები გოლებით მთავრდება ხოლმე, დღეს კი ასე არ მოხდა“. — განაცხადა არდილესმა.

ეს გამარჯვება მარსელელთათვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან დღეს ისინი ორი თამაშიდან ორი გამარჯვებით D ჯგუფის ცხრილს ლიდერობენ და რაც მთავარია მრისხანე „მანჩესტერ იუნაიტედს“ მთელი ორი ქულით უსწრებენ.

*29 სექტემბერი: კროაცია — შტურმი, მანჩესტერი — მარსელი*

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარსელი | | 19.X | 2.XI | 2:0 | 4:1 | 6 |
| 2 | მანჩესტერი | 29.IX | | 0:0 | 2.XI | 3:0 | 4 |
| 3 | კროაცია | 1:2 | 27.X | | 29.IX | 1:2 | 1 |
| 4 | შტურმი | 27.X | 1:2 | 19.X | | 0:5 | 0 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 029 | ჰამბურგი — ვოლფსბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 030 | ბაიერნი — შტუტგარტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 031 | ვერდერი — ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 032 | უნტერჰახინგი — ჰერტა | 2,9 | 2,8 | 2,3 |
| 033 | ჰანზა — მიუნხენ 1860 | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 034 | დორტმუნდი — აინტრახტი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 035 | დუისბურგი — შალკე | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 036 | არმინია — ფრაიბურგი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 037 | ლევერკუზენი — კაიზერსლაუტერნი | 1,5 | 3,2 | 6,5 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 038 | ბოხუმი — ფიურტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 039 | ნიურნბერგი — ქემნიცი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 040 | მაინცი — ჰანოვერი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 041 | ფორტუნა — კარლსრუე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 042 | ვალდჰოფი — ზანქტ პაული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 043 | ბერლინი — ობერჰაუზენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 044 | ოფენბახი — ალემანია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 045 | კიკერსი — კოტბუსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **27 სექტემბერი** | | | |
| 046 | მიონხენგლადბახი — კიოლნი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 047 | არსენალი — უოტფორდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 048 | ქოვენთრი — ვესტ ჰემი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 049 | დერბი — ბრედფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 050 | ლიდსი — ნიუკასლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 051 | ლესტერი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 052 | მანჩესტერი — საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 053 | მიდლსბრო — ჩელსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 054 | სანდერლენდი — უენსდი | 1,4 | 3,5 | 7:0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 055 | უიმბლდონი — ტოტენჰემი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | **27 სექტემბერი** | | | |
| 056 | ლივერპული — ევერტონი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 057 | ბარნსლი — ჰადერსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 058 | ბირმინგემი — ქუინზ პარკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 059 | ბლექბერნი — უოლსოლი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 060 | ბოლტონი — ნოტინგემი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 061 | ფულემი — ქრიუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 062 | პორტ ვეილი — სუინდონი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 063 | პორტსმუთი — გრიმსბი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 064 | შეფილდი — ვულვერჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 065 | სტოკპორტი — ნორვიჩი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 066 | ტრანმერი — ჩარლტონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 067 | ვესტ ბრომვიჩი — კრისტალ პალასი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 068 | იფსვიჩი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ინგლისი. II დივიზიონი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 069 | ბლეკპული — უიკომბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 070 | ბორნმუთი — ბარი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 071 | ბრენტფორდი — პრესტონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 072 | ბრისტოლი — ბარნლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 073 | კემბრიჯი — ჯილინგემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 074 | კარდიფი — უიგანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 075 | ლუტონი — ოქსფორდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 076 | მილუოლი — კოლჩესტერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 077 | ნოტსი — როვერსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 078 | რედინგი — ოლდემი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 079 | სკანთორპი — ჩესტერფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 080 | რექსემი — სტოკი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 081 | მენსფილდი — შრიუსბერი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 082 | ბრაიტონი — ჩელტენემი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 083 | ჩესტერი — ლინკოლნი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 084 | დარლინგტონი — პლიმუთი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 085 | ექსეტერი — მაკლსფილდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 086 | ჰალიფაქსი — კარლაისლი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 087 | ჰალი — იორკი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 088 | ლეიტონი — ჰარტლპული | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 089 | როჩდეილი — სუონსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 090 | როტერჰემი — ნორთჰემპტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 091 | საუთენდი — პიტერბრო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 092 | ტორკი — ბარნეტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. VIII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 093 | მეცი — ნანტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 094 | პსჟ — მონაკო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 095 | ლიონი — სტრასბური | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 096 | ბორდო — ოსერი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 097 | ბასტია — ლე ავრი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 098 | მონპელიე — სედანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 099 | ტრუა — ნანსი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 100 | ლანსი — სენტ ეტიენი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 101 | რენი — მარსელი | 2,9 | 2,8 | 2,3 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 102 | კაენი — ლილი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 103 | კრეტეი — ლორიანი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 104 | ნიორი — გენგამი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 105 | ლე მანი — ამიენი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 106 | კანი — სოშო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 107 | ვალანსი — გენიონი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 108 | შატორუ — აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 109 | ლუანი — ნიცა | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 110 | ტულუზი — ნიმი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 111 | ვასკეალი — ლავალი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### იტალია. სერია A. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 112 | ლეჩე — იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 113 | მილანი — ბოლონია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 114 | კალიარი — ვენეცია | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 115 | რეჯინა — პიაჩენცა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 116 | რომა — პერუჯა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 117 | ტორინო — ინტერი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| 118 | უდინეზე — ფიორენტინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 119 | ვერონა — ბარი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 120 | პარმა — ლაციო | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### იტალია. სერია B. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 121 | ჯენოა — სალერნიტანა | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 122 | ალძანო — ბრეშა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 123 | ემპოლი — ჩეზენა | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 124 | ნაპოლი — ვიჩენცა | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| 125 | პესკარა — ფერმანა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 126 | პისტონეზე — კიევო | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 127 | რავენა — სავოია | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 128 | ტერნანა — ატალანტა | 2,7 | 2,7 | 2,5 |
| 129 | ტრევიზო — მონცა | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| | **27 სექტემბერი** | | | |
| 130 | კოზენცა — სამპდორია | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### იტალია. სერია C1/A. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 131 | ალბინოლეფე — მონტევარკი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 132 | ბრეშელო — ლუმეცანე | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 133 | კრემონეზე — კარარეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 134 | ლეკო — სპალ | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 135 | ლუკეზე — ვარეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 136 | მოდენა — ჩიტადელა | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| 137 | პიზა — ლივორნო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 138 | სანდონა — რეჯანა | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 139 | სიენა — კომო | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### იტალია. სერია C1/B. IV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 140 | არეცო — დი სანგრო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 141 | ასკოლი — აველინო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 142 | ატლეტიკო — სტაბია | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 143 | ბენევენტო — ანკონა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 144 | ფ. ანდრია — გუალდო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| 145 | ჯულიანოვა — კროტონე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 146 | ლოდიჯანი — პალერმო | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| 147 | მარსალა — კატანია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 148 | ნოჩერინა — ვიტერბეზე | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 150 | ბარსელონა — ბეტისი | 1,25 | 4,4 | [illegible] |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 151 | მალაგა — რეალი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 152 | სოსიედადი — სელტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 156 | ვალენსია — ვალიადოლიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 149 | რაიო ვალეკანო — სარაგოსა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 153 | ატლეტიკო — რასინგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 154 | სევილია — ესპანიოლი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 155 | ოვიედო — ალავესი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 157 | დეპორტივო — ნუმანსია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 158 | მალიორკა — ბილბაო | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 168 | ლევანტე — ხეტაფე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 169 | ატლეტიკო B — ლას პალმასი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 159 | ელჩე — ესტრემადურა ($15^{00}$) | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 160 | ლეგანესი — კორდობა ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 161 | ვილიარეალი — ეიბარი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 162 | ტენერიფე — ბადახოსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 163 | სპორტინგი — ალბასეტე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 164 | უელვა — სალამანკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| 165 | ტოლედო — ლეიდა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 166 | მერიდა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 167 | ოსასუნა — კომპოსტელა | 2,1 | 2,9 | 3,2 |

### პორტუგალია. V ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 170 | პორტუ — კამპომაიორენსე | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 171 | ფარენსე — ბენფიკა | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| 172 | ჟილ ვისენტე — სპორტინგი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 173 | ალვერკა — ლეირია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 174 | ამადორა — მარიტიმუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 175 | ბრაგა — ბელენენსეში | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 176 | სეტუბალი — სალგეირუში | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 177 | რიუ ავე — სანტა კლარა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 178 | ბოავიშტა — გიმარაეში | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### ჰოლანდია. VI ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 179 | აიაქსი — ვიტესი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 180 | ჰერენვენი — ტვენტე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 181 | როდა — სიტარდი | 1,6 | 3,4 | 4,4 |
| 182 | პსვ — ტილბურგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 183 | კამბური — ალკმარი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 184 | დენ ბოსხი — უტრეხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 185 | გრააფსხაპი — ნაიმეგენი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 186 | სპარტა — მაასტრიხტი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 187 | ფეიენოორდი — ვალვაიკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### ბელგია. VII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **24 სექტემბერი** | | | |
| 188 | მუსკრონი — სტანდარდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | **25 სექტემბერი** | | | |
| 189 | სენტ ტრუიდენი — ჰარელბეკე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 190 | ლოკერენი — ანდერლეხტი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 191 | ბეერსხოტი — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 192 | ბევერენი — გენკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 193 | ლიერსი — გენტი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 194 | ლომელი — ვესტერლო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 195 | ბრიუგე — მეხელენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 196 | გეელი — შარლერუა | 2,5 | 2,8 | 2,6 |

### საბერძნეთი. II ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **26 სექტემბერი** | | | |
| 197 | პაოკ — კალამატა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 198 | ოფი — ქსანთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 199 | აეკ — პანათინაიკოსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 200 | არისი — პანაჰაიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 201 | ტრიკალა — ეთნიკოსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 202 | იონიკოსი — პროდეფტიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 203 | კავალა — ირაკლისი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 204 | ოლიმპიაკოსი — პანაიონიოსი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| 205 | აპოლონი — პანილიაკოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

## ჩეხეთი. VIII ტური

**24 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 206 | დუკლა — სიგმა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 207 | სპარტა — ბოჰემიანსი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 208 | ვიკტორია — ბლშანი (13⁵) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 209 | ბუდეიოვიცე — ბრნო | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 210 | დრნოვიცე — სლავია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 211 | ოპავა — ლიბერეცი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 212 | იაბლონეცი — ჰრადეც კრალოვე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 213 | ტეპლიცე — ბანიკი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

## პოლონეთი. X ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 214 | ზაგლებე — ჰალექსი | 1,8 | 2,9 | 4,7 |
| 215 | ამიცა — პოგონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 216 | ოდრა — რაძიონკოვი | 1,9 | 2,9 | 3,8 |
| 217 | პლოცკი — ვიძევი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 218 | ლკს — რუხი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 219 | გურნიკი — პოლონია | 2,4 | 2,9 | 2,6 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 220 | ლეხი — ვისლა | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| 221 | ლეგია — გროცლინი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 0:1 | 1,3 | 4,0 | 5,0 |

## უკრაინა. X ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 222 | დინამო — ზირკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| 223 | ტავრია — მეტალურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 224 | დნიპრო — ჩორნომორეცი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 225 | კრივბასი — კარპატი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 226 | ზაპოროჟიე — ცსკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 227 | შახტარი — ნივა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 228 | პრიკარპატია — მარიუპოლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

## თურქეთი. V ტური

**24 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 229 | სამსუნი — გალათასარაი | 5,6 | 3,4 | 1,5 |

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 230 | ბეშიქთაში — ქოჯაელი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 231 | გენჩლერბირლიგი — ალთაი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 232 | ერზურუმი — ისთანბული | 2,1 | 3,0 | 2,1 |
| 233 | დენიზლი — ვანი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 234 | ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 235 | გიოზთეფე — ტრაბზონი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| 236 | ბურსა — ანკარაგიუჯიუ | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 237 | ანთალია — ადანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

## შოტლანდია. VIII ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 238 | დანდი იუნაიტედი — ჰართსი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 239 | ჰიბერნიანი — სელტიკი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 240 | კილმარნოკი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 241 | მოზერუელი — აბერდინი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,5 | 2,3 |
| 242 | რეინჯერსი — სენტ ჯონსტონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

## ავსტრია. XIII ტური

**24 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 243 | რიდი — ტიროლი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 244 | აუსტრია — ლინცერი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 245 | ლუსტენაუ — გრაცერი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 246 | შტურმი — ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 247 | ზალცბურგი — რაპიდი | 2,8 | 2,9 | 2,3 |

## შვეიცარია. XIII ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 248 | სენტ გალენი — ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 249 | გრასჰოპერი — ციურიხი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 250 | ლუგანო — სერვეტი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 251 | ივერდონი — არაუ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 252 | დელემონი — ლუცერნი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

## დანია. IX ტური

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 254 | ვიბორგი — აკადემისკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 255 | კოპენჰაგენი — ესბიერგი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 256 | ორჰუსი — ვაილე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 257 | ოდენსე — ლიუნგბიუ | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 258 | ოლბორგი — ბრიონდბიუ | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 253 | ჰერფიოლგე — სილკებორგი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

## რუსეთი. XXV ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 259 | ჩერნომორეცი — როსტსელმაში | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 260 | როტორი — ტორპედო | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 261 | ცსკა — ნ. ნოვგოროდი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 262 | ზენიტი — ჟემჩუჟინა | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 263 | შინიკი — ლოკომოტივი | 5,0 | 3,6 | 1,6 |
| 264 | ურალანი — დინამო | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 265 | ალანია — კრილია | 1,3 | 4,0 | 6,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

## შვედეთი. XXII ტური

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 266 | იურგარდენი — ჰელსინგბორგი | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 267 | კალმარი — აიკ | 3,5 | 3,0 | 1,9 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 270 | გიოტებორგი — ტრელებორგი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,8 |

**27 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 268 | მალმიო — იორგრიტე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 269 | ნორჩიოპინგი — ჰალმსტადი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 271 | ჰამარბი — ელფსბორგი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 272 | იორებრო — ფრიოლუნდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |

## ნორვეგიის თასი

**25 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 273 | მოლდე — ლილესტრიომი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**26 სექტემბერი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 274 | რუსენბორგი — ტრიმსიო | 1,25 | 4,4 | 8,0 |

## ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია. VI ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28-ზე მეტი | 1,9 |
| ინგლისი. IX ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28-ზე მეტი | 1,9 |
| საფრანგეთი. VIII ტური | 22 და ნაკლები | 1,9 | 24-ზე მეტი | 1,9 |
| იტალია. IV ტური | 24 და ნაკლები | 1,9 | 26-ზე მეტი | 1,9 |
| ესპანეთი. V ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28-ზე მეტი | 1,9 |
| პორტუგალია. V ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25-ზე მეტი | 1,9 |
| ჰოლანდია. VI ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28-ზე მეტი | 1,9 |
| ბელგია. VII ტური | 26 და ნაკლები | 1,9 | 28-ზე მეტი | 1,9 |
| თურქეთი. V ტური | 23 და ნაკლები | 1,9 | 25-ზე მეტი | 1,9 |

# ფორმულა 1. XIV ეტაპი

| მრბოლი | პოული | I ადგილი | სამეული | ექვსეული |
|---|---|---|---|---|
| ჰაკინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 1,4 | 1,7 | 1,2 | 1,1 |
| კულჰარდი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 4,0 | 3,0 | 1,5 | 1,25 |
| ირვინი (ირლანდია, ფერარი) | 4,0 | 3,0 | 1,5 | 1,25 |
| ფრენცენი (გერმანია, ჯორდანი) | 5,0 | 4,0 | 1,8 | 1,3 |
| სალო (ფინეთი, ფერარი) | 25,0 | 15,0 | 3,0 | 1,5 |
| რ. შუმახერი (გერმანია, უილიამსი) | 25,0 | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ბარიკელო (ბრაზილია, სტიუარტი) | 30,0 | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ფიზიკელა (იტალია, ბენეტონი) | 30,0 | 20,0 | 4,0 | 1,8 |
| ჰილი (ბრიტანეთი, ჯორდანი) | 30,0 | 30,0 | 4,0 | 1,8 |
| ვილნევი (კანადა, BAR) | 40,0 | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ალეზი (საფრანგეთი, ზაუბერი) | 40,0 | 30,0 | 5,0 | 2,0 |
| ძანარდი (იტალია, უილიამსი) | 50,0 | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ტრული (საფრანგეთი, პროსტი) | 50,0 | 40,0 | 8,0 | 3,0 |
| ვურცი (გერმანია, ბენეტონი) | 50,0 | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| ჰერბერტი (ბრიტანეთი, სტიუარტი) | 50,0 | 50,0 | 8,0 | 3,0 |
| პირველი სამეული თანმიმდევრობით | | | | 10,0 |

| XIV ეტაპზე კონსტრუქტორთა შორის გამარჯვებული | |
|---|---|
| მაკლარენი | 1,4 |
| ფერარი | 2,3 |
| ჯორდანი | 3,5 |
| უილიამსი | 15,0 |
| სტიუარტი | 15,0 |
| ბენეტონი | 15,0 |
| ზაუბერი | 25,0 |
| პროსტი | 25,0 |
| ეროუზი | 25,0 |
| BAR | 25,0 |
| მინარდი | 25,0 |

**გადამრავლება შეიძლება სამეულში მოხვედრის (არაუმეტეს სამი მრბოლისა) ან ექვსეულში მოხვედრის (არაუმეტეს ექვსი მრბოლისა) კოეფიციენტების.**

**პოულის მოგებაზე ფსონები მიიღება მხოლოდ პარასკევს**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოყვ[illegible]მული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სი[illegible] მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თახა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

უეფას წევრი 51 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია-ასოციაციათა პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნების კონფერენციაზე, გუშინ, თავად უეფას გენერალურმა მდივანმა, გერჰარდ აიგნერმა ახსენა კიდევ ერთი, ახალი შეჯიბრება, რომელმაც, თქვენ წარმოიდგინეთ, ცხელ გულზე, დამსწრე საზოგადოების მხარდაჭერა ჰპოვა. საქმე ნაკრებებს ეხება.

# უეფა ფიფას წინააღმდეგ

ახალი შეჯიბრების შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ იგი ფეხბურთელთა და ქომაგთა გადატვირთულ კალენდარს, როგორც ჩანს, მეტად აღარ გადატვირთავს. მაშ როგორ და როდის უნდა ჩატარდეს იგი?

აი, როგორ და როდის: ბოლოხანს კალენდრის მართლაც უკიდურესმა გადატვირთვამ დიდი შეშფოთება გამოიწვია და მწვრთნელებმა თუ სხვა ტიპის სპეციალისტებმა მისი განმუხტვა მოითხოვეს. დაისვა კითხვა, რის ხარჯზე უნდა მოხდეს განტვირთვა? ეროვნული ჩემპიონატების ხელის ხლება გამორიცხულია (დიდი-დიდი უეფამ ყველა ქვეყანაში გუნდების რაოდენობის გათანაბრებას მიაღწიოს), ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასს ვერავინ შებედავს, რადგან იქ დიდძალი ფული კეთდება, შესაბამისად რჩება ერთი დაბალი ლობე — ეროვნული გუნდების შეჯიბრებები.

მაგრამ ნაკრებთა ხელყოფაც არ არის იოლი საქმე. საკუთარი ქვეყნების მხარდაჭერის სურვილი, მოკლედ კი პატრიოტიზმი ჯერ კიდევ არსებობს. მაშ გამოდის, რომ შესაკრეჭი სადღაც სანაკრებო შეხვედრებში, მაგრამ არა ოფიციალურ შეჯიბრებებში უნდა ეძებნათ. რა დაგვრჩა? ამხანაგური მატჩები.

ამხანაგური მატჩები სწორედ ისაა, რაც ასე ეზიზღებათ ბობოლა კლუბებს. ისინი თავიანთი ფეხბურთელების ნაკრებებში გაგზავნას ოფიციალური შეხვედრების დროსაც კი ეწინააღმდეგებიან და საკონტროლო თამაშებზე ხომ სულ ცოფდებიან, იტყუებიან და ვინ მოთვლის, რას კადრულობენ. არადა, ფედერაციებს ნაკრებებიც სჭირდებათ და ეკლად გაჩხერილი ამხანაგურებიც.

ამიტომაც შესთავაზა უეფამ იდეა, რომელიც შესაძლოა გამოსავალი იყოს. თუკი ფედერაციები მოილაპარაკებენ და გადაწყვეტენ, რომ ამხანაგურ შეხვედრებზე უარის თქმა დასაშვებია — რაც თითქოს ძნელი არ უნდა იყოს — მაშინ გამორიცხული არაა, მათ ადგილას ოფიციალური შეჯიბრების ჩასმა. უეფას კალენდარში ამხანაგურებისთვის რვა თარიღია შემოხაზული, ხოლო ოფიციალური მატჩებისთვის თორმეტი. ჯამში გამოდის 20 სათამაშო დღე, რაც ორ წელიწადში ერთხელ სრულყოფილი შეჯიბრებისთვის სრულიად საკმარისია.

„სანაკრებო ფეხბურთის მომავალზე ახალავე უნდა ვიზრუნოთ, რადგან საკლუბო შეჯიბრებების ზრდა-განვითარებამ მისი მნიშვნელობა აშკარად დააკნინა“ — განაცხადა აიგნერმა.

აქ არის კიდევ ერთი ქვეტექსტი. ფიფა, მოგეხსენებათ, სანაკრებო მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვას ფიქრობს და იმავდროულად კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატის დანერგვასაც ეშურება. ეს იდეა ევროპაში ძალიან არ მოსწონთ. თუ „ბებერ კონტინენტზე“ შეძლეს და საკლუბო თუ სანაკრებო კალენდარი სრულჰყვეს, მაშინ ფიფას უკან დახევა მოუწევს, ვინაიდან მსოფლიოს მასშტაბის შეჯიბრება ევროპელთა გარეშე სად-სად და ფეხბურთში უაზრობაა.

„ჩვენ ევროპულ სოლიდარობას უნდა მივაღწიოთ. უნდა შევძლოთ ძლიერი ასოციაციები სუსტებს დაეხმარონ. საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთს შორის ბალანსია დასამყარებელი“ — ბრძანა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა.

საგულისხმო სიტყვა თქვა მისმა პორტუგალიელმა კოლეგამ, ჟილბერტო პარკა მადიალმა:

„ჩვენ ის ქვეყანა ვართ, რომლის ბევრი ფეხბურთელი უცხოეთის კლუბში თამაშობს და რომლის კლუბებში მრავალი გადამთიელია. ამიტომაც ჩვენი გულშემატკივრისთვის ეროვნული ნაკრები უმთავრესი გუნდია და მწამს, ეს ხალხი ახალი შეჯიბრების იდეას აღფრთოვანებით შეხვდება.“

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი შეფი დევიდ დევისი:

„მთელი ევროპა წინააღმდეგობას უწევს მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვას. ამიტომაც უეფას ახალი იდეა კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ და საერთაშორისო კალენდრის დიდ საკითხთან ერთად, მის შემადგენელ ნაწილად განვიხილოთ. ამბობენ, რომ ამხანაგური თამაშები უნდა გაუქმდეს, მაგრამ ისინი თუ არ იქნა, არგენტინას და ბრაზილიას მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატებზელა ვნახავთ.“

„ამხანაგურები აღარც ხალხს უნდა და აღარც ტელეკომპანიებს. ამიტომ ვთვლი, რომ იდეა ჩინებულია“ — თქვა ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ბეპო მაუჰარტმა.

გაკვრით ითქვა ახალი შეჯიბრების ფორმატის პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ შეთავაზებულ ვარიანტზე: შინ და სტუმრად პლეი ოფი, ხოლო საუკეთესო ოთხი თუ რვა გუნდის ერთ ქვეყანაში თავმოყრა და ტურნირის ჩატარება.

**ბაბუნა ძიდია**

# დიდ ადამიანთა ლოგინებში ვინმე ლაიზამ გულიტის ოჯახი დაანგრია



ლაიზა ჯენსენი



რუდ გულიტი




პოლ გესქოინი

ერთი ბოზანდარა მიმტანი გოგოა ინგლისში. ოცდარვა წლისა გახლავთ და ლაიზა ჯენსენი ჰქვია. აქამდე ბევრმა არავინ იცოდა მისი ვინაობა, მაგრამ რახანლა გოგომ გადაწყვიტა, გაზეთ „სანდი ფიფლისთვის“ მოეთხრო თავისი ამბავი, მდიდარი და განთქმული შეიქნა.

ლაიზა რომ ენის ჭარტალს მოჰყვა, იქ, ამსტერდამში რუდ გულიტს ოჯახი დაენგრა. რუდსა და მის ცოლს ესტელ კრუიფს სწორედ რომ მმაჩის ბიუროში უნდა გაეფორმებინათ ურთიერთობები და ნამდვილ დედ-მამად ქცეულიყვნენ თავიანთი ორი წლის ქალიშვილისთვის... მაგრამ ესტელმა „ფიფლი“ წაიკითხა და გაცოფდა. ლაიზა იმგვარად ჰყვებოდა მისი ქმრის ზომა-წონის ამბებს, რომ...

„ნიუკასლის“ შერცხვენილ მენეჯერად მყოფი გულიტი თურმე ლაიზას იმგვარად ხედნავდა, რომ თქვენი მოწონებული. აბა, გუნდისთვის სად მოიცლიდა, როცა საწოლ ოთახში ლაიზა ეგულებოდა.

მიმტანმა გოგომ კი ეს ყველაფერი გაზეთს უამბო და ყველაფერთან ერთად გულიტს რქებიც მოუსინჯა. როცა რუდს ვსაყვარლობდი, სწორედ იმ ხანებში აღმოვჩნდი პოლის ლოგინშიო. პოლი ძალიან მაგარი ბიჭია, იმდენად მაგარი, რომ რუდისგან განსხვავებით, მართლა შემიყვარდაო.

და პოლი ვინ არის?

პოლი არის გაზა. პოლ გესქოინი. აბა, უმისოდ როგორ იქნებოდა?

თურმე, ეშმაკი ბოზანდარა ორივესთან დაიარებოდა და თან ისე, რომ ამათ ერთმანეთისა არაფერი იცოდნენ. ახლა კი შეიტყვეს და ლაიზას ახლოსაც აღარ იკარებენ, მაგრამ ზარალით მხოლოდ რესპექტაბელური გულიტი დაზარალდა. გაზას რაღა უნდა დააკლო, მისი ამბავი ყველას მოეხსენება.

ლაიზა კი ყვებოდა და ყვებოდა:

„თავიდან რუდს შევხვდი. კარგი კაცია, მაგრამ როცა პოლს გადავეყარე, დავრწმუნდი, რომ ისინი სხვადასხვა ლიგებში თამაშობენ. პოლი სექსის გენიოსია. გულიტის სექსი კი საოჯახო ამბავსა ჰგავს. სამი ქალისგან ხუთი შვილი ჰყავს. მეტს ვერ მოსთხოვ. გულიტს „პატარა რუდის“ თუ დაუძახებ, პოლი კი ნამდვილი დელფინია“.

„ფიფლის“ მსოფლიო მკითხველებმა აგრეთვე შეიტყვეს, რომ გულიტმა თუ შუქი არ ჩააქრო, ქალს ვერ მიუწვება და მხოლოდ ორ პოზას ფლობს ღირსეულად. ეს მაშინ, როცა გაზა შიშველი ცეკვა-თამაშობდა საწოლის გარშემო და ლაიზას რისკიანი სექსის ილეთებით აშინებდა.

რას არ გეიგებს კაცი. გულიტს ლაიზა მის რესტორანში ყავის დასალევად შესულს მოუხსნია ინტელიგენტური ლაპარაკით, გაზას კი უთქვამს, ნიფხავი არ მაცვიაო და ამის დასამტკიცებლად შარვალი ჩაუხდია. რა გასაკვირია და პოლიგამური ურთიერთობის ხუთი თვის თავზე ქალს დაუდგენია, რომ გაზა უყვარს.

თანაც, გულიტი სასტუმროს ოთახში მმალავდაო, გაზა კი ყველგან დამატარებდა და თან თავის დის სახლშიც მიმიყვანა, სადაც მთელს ოჯახთან წარმადგინაო.

ლაიზა მოწყენილია: „ორივე დავკარგე, რადგან მათთვის საკუთარი რეპუტაცია უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემთან ყოფნაო“.

ისე, მორალი იქეთ იყოს და რა ცხოვრება აქვს გულიტს?

**ვასიკო ბერაძე**

# მამა რონალდო?

ბრაზილიური ფეხბურთის ვარსკვლავმა და მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდომ თავისი ოცდამესამე დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე განაცხადა, რომ შეყვარებული ფეხმძიმედ ჰყავს. ბრაზილიური ტელეკომპანია „გლობოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში რონიმ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ ბავშვი დაახლოებით აპრილ-მაისში მოევლინება ქვეყნიერებას. მანამდე კი, დეკემბერში, წყვილი სამშობლოში დაბრუნებასა და დაქორწინებას აპირებს.

რონალდო გელფრენდ მილენა დომინგუშს მას შემდეგ ხვდება, რაც ყოფილ რონალდინია — სუზანა ვერნერთან გაწყვიტა ურთიერთობა.

იუბილარმა განაცხადა, ეს საუკეთესო საჩუქარია ჩემს ცხოვრებაში და უკეთეს ძღვენს ვერასოდეს ვინატრებდიო.



# მკვლელობა იტალიურად

„შეფილდ უენსდის“ შეფმა დეივ რიჩარდსმა იტალიელი ლეგიონერი ბენიტო კარბონე კლუბის ბოლოდროინდელ წარუმატებლობაში დაადანაშაულა. „უენსდის“ კი მართლაც რომ შავი დღე დასდგომია — ჩემპიონატის ბოლო ტურში 0:8 განადგურდა „ნიუკასლთან“ რომელიც წლეულს ცაში ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტს.

კარბონესა და კიდევ ერთი ექსშეფილდელი იტალიელის — პაულო დი კანიოს საქციელი ბოლო 12 თვის მანძილზე აშკარად უარყოფითად მოქმედებდა გუნდის ფსიქოლოგიაზე. შეგახსენებთ, რომ დიკანიომ „შეფილდი“ დატოვა და „ვესტ ჰემში“ გადაბარგდა.

კარბონემ გუნდთან რაღაც ფინანსური ურთიერთობები ვერ მოაგვარა.

აღშფოთებულია ფეხბურთელის აგენტი ჯოვანი ბრანჩინი. მან განაცხადა, „შეფილდის“ პრეზიდენტის ბრალდებამ ძალზე განმარისხა და იმავდროულად გამაკვირვა, რადგან ის ერთ-ერთ საუკეთესო ადამიანია, ვინც კი ოდესმე პრემიერლიგაში შემხვედრიაო.

ბრანჩინი იმედოვნებს, რომ „შეფილდის“ დირექციის ქმედებას იტალიელთა მიმართ რასიზმი არ უდევს საფუძვლად. თუმცა ამაზე ფიქრის საბაბი მას გააჩნია, რადგან თითქმის ანალოგიური პრობლემისთვის საკუთარ კლუბებთან არც როი კინი და არც სტივ მაკმანამანი არ გაუკიცხავთ.

„უსამართლობაა, გუნდის უიღბლობა რომელიმე კონკრეტულ ფეხბუთრელს გადააბრალო“ — მიაჩნია აგენტს.



ბენიტო კარბონე

# ომი უკვე დაიწყო

დღეს ავსტრალიურ ბრისბენსა და ფრანგულ პოში კაცთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — დევისის თასის ნახევარფინალები დაიწყება. მასპინძლები, შესაბამისად, რუსებსა და ბელგიელებს გაეჯიბრებიან, რათა დეკემბერში გათამაშების საიუბილეო, მე-100 წლისთავზე გადამწყვეტ მატჩში შეიბნენ



ევგენი კაფელნიკოვი



სედრიკ პიოლინი

## ავსტრალია — რუსეთი

ორი ნახევარფინალიდან გაცილებით დიდ ინტერესს, რაღა თქმა უნდა, ოზების და რუსების მატჩი იწვევს, რომელიც ბრისბენის საფეხბურთო სტადიონ ANZ-ის საგანგებოდ მოწყობილ ბალახის კორტებზე გაიმართება.

თავიდან შეხვედრის უპირობო ფავორიტებად მასპინძლები ითვლებოდნენ, რომელთაც უსწრაფეს საფარზე დიდი უპირატესობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მერე ტრავმების გამო მათ რიგებს აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი პატრიკ რაფტერი და გიგანტი მარკ ფილიპუსისი გამოაკლდათ და ფავორიტებიდან აუტსაიდერებადაც იქცნენ.

ავსტრალიელთა კაპიტანმა ჯონ ნიუკომბმა დაშავებული ჯილების ნაცვლად 18 წლის ამომავალ ვარსკვლავ ლეიტონ ჰიუიტსა და 28 წლის, დევისის თასის დებიუტანტ, უეინ არტურსს უხმო.

ცაცია და ძლიერი მოწოდების პატრონმა არტურსმა, რომლის მამა, დერეკი 1962-65 წლებში ირლანდიის დევისის თასის გუნდში ასპარეზობდა, ნიუკომბის ყურადღება იმით მიიპყრო, რომ წლევანდელ უიმბლდონზე მერვედფინალში გავიდა და ანდრე აგასის გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია.

რაც შეეხება ჰიუიტს, ასაკის მიუხედავად, მას უკვე საკმაო გამოცდილება აქვს — ივლისში მეოთხედფინალურ შეხვედრაში ამერიკელებთან ორივე პირადი შეხვედრა მოიგო: „იმ მატჩებმა ბევრი რამ მასწავლა და ახლა სულაც არ ვნერვიულობ. ავსტრალიაში ყოველთვის კარგად ვთამაშობ და იმედია, ხალხიც დაგვეხმარება ქომაგობით. არც ის მადარდებს, რომ პეტისა და მარკის არყოფნაში ჩემგან ყველა მოგებას ელის".

აი, რუსები კი ავსტრალიაში უცვლელი შემადგენლობით ჩავიდნენ: მსოფლიოს მეორე ჩოგანი ევგენი კაფელნიკოვი მხოლოდ მცირე გადაღლას უჩივის, მარატ საფინმა ტაშკენტის ტურნირზე მოწამლის შემდეგ გამოჯანმრთელება მოასწრო, არაფერს უჩივის წყვილებში თამაშის ოსტატი ანდრეი ოლხოვსკიც.

სამაგიეროდ, სტუმრები მაშინ აწუწუნდნენ, როცა მომავალი შეხვედრის საფარი იხილეს ANZ-ის სტადიონზე. „ეს რაგბის მოედანს უფრო ჰგავს" — აღნიშნა კაფელნიკოვმა. „ავსტრალიელებმა სპეციალურად დაგვახვედრეს ცუდი ხარისხის კორტები, რათა ჩემს ბიჭებს უკანა ხაზიდან თამაში გაუჭირდეთ. თუმცა ITF-ში ჩივილს არ ვაპირებ" — განაცხადა კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა.

თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ფსიქოლოგიურ ომში : რუსებმაც და ავსტრალიელებმაც პრესკონფერენციებზე იერიში პირადად მეტოქეებზე მიიტანეს.

კაფელნიკოვმა ჯერ თავისი პირველი მეტოქის, არტურსის ხასიათის წახდენაზე იმუშავა: „უეინმა შეიძლება მცირე წინააღმდეგობა გამიწიოს, მაგრამ ხუთსეტიანი მატჩისთვის სტაბილურობა არ ეყოფა. თანაც იგი დებიუტანტია ასეთ მნიშვნელოვან მატჩში, ქვეყნის სახელით თამაშის დროს ამხელა ზეწოლას ვერ გაუძლებს და განერვიულდება".

მერე სოჭელმა ჟენიამ არ დაიზარა და მთელი ნახევარფინალის მსვლელობა იწინასწარმეტყველა: „მე და მარატი პარასკევს ერთეულების მატჩებს მოვიგებთ,მერე წყვილებში დავმარცხდებით, მაგრამ კვირას ჰიუიტს ვძლევ და ანგარიში 3:1 გახდება ჩვენს სასარგებლოდ. ამის თქმა იმიტომ შემიძლია, რომ თავდაჯერებული ჩოგბურთელი ვარ და ამ წუთისთვის ძალიან კარგად ვთამაშობ".

პასუხი, თანაც არანაკლებ მოსწრებული და შემტევი, არც ნიუკომბს დაუგვიანია: „გამიკვირდა, რომ კაფელნიკოვი კორტს გვიწუნებს, რადგან ნახევარფინალებისთვის უიმბლდონზეც ასევეა გათელილი ბალახი. თუმცა ევგენის საიდან ეცოდინებოდა, მეორე კვირამდე იქ ვერასოდეს აღწევს (კაფელნიკოვი ბალახის „მეიჯორზე" ერთადერთხელ გავიდა მეოთხედფინალში).

თავის მხრივ ჰიუიტმა საფინს დაუმიზნა: „მარატის იმედი მაინცდამაინც არ უნდა გქონდეს, ცხოვრებაში ერთადერთხელ უთამაშია ბალახზე და ისიც უკანახაზელთან (ანდრეი მედვედევთან შარშანდელ უიმბლდონზე) დამარცხდა".

მოკლედ, ქარცეცხლი და ინტრიგა შეხვედრას ახლაც არ აკლია, საქმე ის არის, კორტზე ვინ ვის აჯობებს.

## საფრანგეთი — ბელგია

რუსების მსგავსად, მასპინძლებს საფარი ბელგიელებმაც დაუწუნეს: კაპიტან გაბრიელ გონსალესს ხალიჩის კორტის ნახვა ვერაფრად ეჭაშნიკა, მისი მოთამაშეები ქსავიე მალისი და ფილიპ დევულფი ხომ თიხნარზე თამაშში არიან გაწაფული.

„სტადიონი არაჩვეულებრივია, ატმოსფერო — შესანიშნავი, მაგრამ საფარი მეტისმეტად სწრაფია. ვფიქრობ, მაყურებლებს მხოლოდ მოწოდებისა და მიღების ხილვის საფრთხე ემუქრებათ".

სამაგიეროდ ფრანგების კაპიტან გი ფორჟეს, რომელიც ამ თანამდებობაზე წლეულს დაინიშა, ამის მოსმენას არაფერი უჯობდა: „საოცარი მიღწევა იქნება, თუ ფინალში გავალთ. ბელგიელები სუსტი მეტოქეები არ არიან, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი შანსი გვაქვს".

ფორჟეს ერთეულებში სათამაშოდ „ლუფენის" ნახევარფინალისტი სედრიკ პიოლინი და სებასტიან გროსჟანი ჰყავს გამწესებული, წყვილებში კი ფაბრის სანტოროსა და ოლივიე დელეტრს ენდობა.

„ფრთხილად უნდა ვიყოთ. თავი არ უნდა დავაჯეროთ, რომ იოლად გავიმარჯვებთ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩემი თანაგუნდელები საქმეს სერიოზულად მიუდგებიან" — ეს ფრანგების ლიდერის სედრიკ პიოლინის სიტყვებია.

# გაიცანით, მონიკა ვილი


REUTERS ფოტოები

მონიკა ვილი

**ტოკიო. იაპონია. „პრინცესას თასი". ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $**

მონიკა ვილის სახელი იქნებ ჯერ არაფერს გეუბნებოდეთ, მაგრამ ერთ-ორ წელიწადში იგი ალბათ, თინეიჯერ ვარსკვლავთა მზარდ არმიას შეუერთდება.

ყოველ შემთხვევაში, ასე იმუქრება თავად 14 წლის ამერიკელი გოგო, მისი მწვრთნელი რიკ მაჩი და სახელგანთქმული მენეჯერი — მილიარდერი დონალდ ტრამპი.

ვილი, რომელიც თურმე კარგა ხანია, ტრაბახობს; მსოფლიოს პირველი ჩოგანი გავხდებიო, WTA ტურის ასაკობრივი შეზღუდვების გამო მსხვილ ტურნირებზე აქამდე ვერსად გამოდიოდა. მაგრამ მისი მშობლები ქალთა საჩოგბურთო ასოციაციას სასამართლოში ჩივილით დაემუქრნენ და თავდაჯერებულ თინეიჯერსაც ერთი „უაილდ ქარდის" გამოყენების უფლება მოუპოვეს.

ვილის დებიუტის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი იყო, მის მატჩს ტოკიოს ტურნირზე მოთამაშე ორი ვარსკვლავი — ლინდსი დევენპორტი და მონიკა სელეშიც დაესწრო.

„სასიამოვნოა, რომ ისინი ჩემს სანახავად მოვიდნენ, ამან ძალიან გამახარა. იმედია, ერთ დღეს მათაც ვეთამაშები" — აღნიშნა მონიკამ, რომელსაც უკვე სარფიანი კონტრაქტები აქვს გაფორმებული „ფილასა" და „იონექსთან", თანაც ამტკიცებს, სიმღერა და მსახიობობაც შესანიშნავად მეხერხებაო.

თუმცა თავის პირველ მატჩში ვილის ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. თანამემამულე ჯეინ ჩისთან შეხვედრაში მან მძლავრი მოწოდებები და დარტყმები კი უჩვენა მაყურებლებს, მაგრამ ამასთან უამრავი უნებლიე შეცდომაც დაუშვა და 3:6, 1:6 დამარცხდა.

„თავს ცუდად არ ვგრძნობდი, უბრალოდ ზედმეტად გავნერვიულდი, რაც ნებისმიერ მოთამაშეს შეიძლება მოუვიდეს. ეს ჩემი პირველი ნაბიჯი იყო, და წინ კიდევ დიდი შრომა და ვარჯიში მელის" — იხტიბარი არ გაიტეხა მონიკამ.

**მეორე წრე: ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:0, 6:1; **მონიკა სელეში** (2, აშშ) — მიროსლავა ვავრინეცი (შვეიცარია) 6:1, 6:0; **ჟული ალარი** (3, საფრანგეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:1, 6:0; **ამანდა კუტცერი** (4, სამხრეთ აფრიკა) — მორინ დრეიკი (კანადა) 4:6, 6:3, 6:4; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — შინობუ ასაგოე (იაპონია) 6:2, 7:5; **კონჩიტა მარტინესი** (6, ესპანეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:1, 6:0.



კენტის ჰერცოგინია პიტ სამპრასს აჯილდოებს

# ჰერცოგის ქალი გაიბუტა

კენტის ჰერცოგინია, უიმბლდონის მუდმივი სტუმარი და „სამეფო სახე", თურმე აპირებს, კანონით კუთვნილ „სამეფო ლოჟას" გაისად ბოიკოტი გამოუცხადოს.

ჰერცოგინია, რომლის მეუღლე უკვე 30 წელია, „ოლ ინგლენდ კლაბის" პრეზიდენტია, უიმბლდონის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც მარწყვი, მოძველებული ტრადიციები თუ გადაუღებელი წვიმები. იგი ჩოგბურთის დიდი ქომაგია და ყოველწლიურად პირადად აჯილდოებს ტურნირის ჩემპიონებს. 1993-ში კი, როდესაც ფინალის შემდეგ ატირებულ იანა ნოვოტნას ამშვიდებდა, მისმა სურათებმა მსოფლიოს პრესა მოიარა.

სწორედ ასეთი ერთგული ქომაგი გაანაწყენეს ტურნირის ორგანიზატორებმა, რომელთაც გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა" სნობიზმსა და ქედმაღლობაში დასდო ბრალი.

ყველაფერი გასულ ზაფხულს დაიწყო, როდესაც „სამეფო ლოჟაში" ჰერცოგინიას მიწვეული მეგობრის 12 წლის ვაჟიშვილი არ შეუშვეს. რამდენიმე კვირის წინ კი კლუბის თავმჯდომარე ჯონ კარიმ მის უმაღლესობას წერილი გაუგზავნა „ზრდილობიანი შენიშვნით", ლოჟაში ბავშვების დაპატიჟება აკრძალულია და საერთოდ, სტუმართა რიცხვი შეზღუდეთო.

ასეთ მოპყრობას ჰერცოგინია თურმე მეტად გაუნაწყენებია, ამიტომ გაისად „სამეფო ლოჟაში" მხოლოდ დაჯილდოების ცერემონიალზე გამოჩნდება, სხვა დღეებში კი ცენტრალურ და პირველ კორტზე უბრალო ბილეთებით აპირებს გამოცხადებას.

„უიმბლდონის" ორგანიზატორები გონს გვიან მოვიდნენ და კარიმ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა, ვნანობ, თუ ჰერცოგინიას უნებლიედ ვაწყენინეთ, ჩვენ უბრალოდ ტურნირის წესდებით ვმოქმედებდითო.

თუმცა, ძნელი სათქმელია, მოულბება თუ არა გული სამეფო ოჯახის წევრს ნაგვიანები ბოდიშებით.

**ავთანდილ სვანიძე**

# თქვენთვის ადრეაო...

## უთხრეს ქართველ ხელბურთელებს შექეიფიანებულმა მსაჯებმა

**ქართველმა ხელბურთელებმა დანიელებთან ევროჩემპიონატის მეორე საპლეიოფო თამაშიც წააგეს. მას მერე, რაც პირველი შეხვედრა თბილისში შვიდი ბურთით დავთმეთ, ეს მატჩი ფორმალურ ხასიათსღა ატარებდა. ალბათ, ამას უნდა მივაწეროთ, რომ დანიაში მხოლოდ რვა ბურთით წავაგეთ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიძე კი თვლის, რომ უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა, რომ არა... თუმცა, სჯობს, თავად მას მოვუსმინოთ. მით უფრო, მისმა საუბარმა რამდენიმე საგულისხმო დეტალიც გამოამზეურა, რომლებიც საკუთრივ ქართული ხელბურთის პრობლემებს ეხება**



ტიტე კალანდაძის არყოფნა საქართველოს ნაკრებს ძალიან დაეტყო

— ბიჭებმა დანიაში გაცილებით უკეთ ითამაშეს. მართალია, შეცდომები კვლავაც იყო, განსაკუთრებით თავდასხმაში, მაგრამ ძლიერ მეტოქეს ტოლი მაინც არაფერში დაუდეს, მშვიდად, აუღელვებლად თამაშობდნენ. 54-ე წუთისთვის მხოლოდ ერთი ბურთით ვაგებდით — 20:21. მანამდეც ასე, ქულა-ქულაში მიდიოდა თამაში. მერე კი... შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ მსაჯის მიკერძოებამ საბოლოო შედეგზე იმოქმედა, რასაც ჩვენი შეცდომებიც დაემატა.

როგორც გითხარით, თავდასხმამ უფრო ცუდად ითამაშა, ვიდრე თბილისში. სამაგიეროდ, აქაური მატჩის კვალობაზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ დაცვა და მეკარე. მართალია, 31 ბურთი გავუშვით, მაგრამ მათ აშკარად მოუმატეს. გარი თურქიამაც გაცილებით უკეთ ითამაშა. თუმცა გამოყოფით არავის გამოვყოფ, ყველასი კმაყოფილი ვარ. თავდასხმაში რომ მეტი სიდინჯე გამოგვეჩინა... ჩვენთვის ტიტე კალანდაძე დიდი ძალაა. ის გუნდის ხერხემალია. სერგო დათუკაშვილი ნიჭიერი და იმედისმომცემი ხელბურთელია, მაგრამ ახალგაზრდაა და კალანდაძის ღირსეულად შეცვლა ჯერ არ ძალუძს. ტიტე ჩვენთვის ცერცვაძეცაა და ანპილოგოვიც. წარმოიდგინეთ, იმ გუნდებს ესენი რომ არ ჰყოლოდათ.

**— იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ მოგება შეგეძლოთ და მსაჯმა წაგაგებინათ?**

— ამას არ ვამბობ, მაგრამ უფრო მცირე სხვაობით წავაგებდით. მსაჯმა რამდენიმე ისეთი შეცდომა დაუშვა, მსგავსი არ მინახავს. 50-ე წუთზე ჩვენმა მეკარემ ბურთი აიღო და მარტო მყოფ თანაგუნდელს წინ კარგი პასი მიაწოდა. გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მსაჯმა თამაში შეაჩერა, ერაძეს თავისთან უხმო და ძეწკვის მოხსნა მოსთხოვა, აკრძალულიაო. ჯერ ერთი, ეს რა დარღვევაა, ან თუ მართლა დარღვევაა, მანამდე სად იყო? თამაში კი განვაახლეთ, მაგრამ მომენტი ხომ დაიკარგა.

**— თქვენი აზრით, იმ 54-ე წუთის მერე რა მოხდა?**

— მე ამ საკითხს ცოტა სხვანაირად ვუყურებ. მატჩის მერე გამართულ ბანკეტზე მსაჯებმა პირდაპირ გვითხრეს, თქვენი ერთბაშად, ერთ წელიწადში მოინდომეთ ევროპულ ელიტაში დამკვიდრება, ეს კი ასე არ ხდებაო. თან იმითაც დაინტერესდნენ, გვყავდა თუ არა ევროპისა და მსოფლიოს ხელბურთის ფედერაციაში მფარველი. საქმე ისაა, რომ თითქმის ყველა ფედერაციას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ამ ორგანიზაციებში. მათი დელეგატები სისტემატურად ესწრებიან სხვადასხვა სახის შეკრებებსა და სხდომებს, მწვრთნელები და მსაჯები კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დადიან... ჩვენთან წელიწადი არცაა, რაც გენერალურ მდივნად თამაზ თევზაძე დაინიშნა და მსგავს კონტაქტებსაც ამის მერე ვამყარებთ.

**— ასე დაუფარავად გესაუბრებოდნენ?**

— მსაჯები ამბობდნენ იმას, რაც სიმართლეა. მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველომ შეიძლება დანიას მოუგოს, პირდაპირ გვეუბნებოდნენ, ამაზე ფიქრი ჯერ ადრეაო.

**— უცნაური ლოგიკაა... ასე ხომ ყოველთვის შეიძლება მოხდეს. არ აპირებთ ამაზე რეაგირებას ევროპის ხელბურთის ფედერაციაში?**

— ოქტომბერში ევროპის ფედერაციის სემინარი გაიმართება, სადაც თამაზ თევზაძე სწორედ ამ საკითხზე ისაუბრებს. ჩვენ ყველა დარღვევა ვიდეოფირზე აღვბეჭდეთ და მისი გამოყენებაც შეგვიძლია. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სამომავლოდ ეს არ განმეორდეს. მე ამ წაგებას სხვას არ ვაბრალებ, მაგრამ მსაჯმაც შეიძლება თამაშს დალი დაასვას.

**— როგორ გგონიათ, მხოლოდ მოხსენება უშველის საქმეს?**

— რა თქმა უნდა, არა. ამიტომ ჩვენც უნდა გვყავდეს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები, მაშინ ამდენს ნამდვილად ვერ გაგვიბედავენ. საჭიროა დელეგატებიც. საამისო სტატუსი უკვე აქვთ თამაზ თევზაძეს, მერაბ მეტრეველს, გურამ ძაგანიას. ამ მხრივ მუშაობა უფრო უნდა გაფართოვდეს.

**— ისეთი ჩავარდნა, როგორიც ამ თამაშის ბოლო ექვს წუთში მოგივიდათ, თითქმის ყველა შეხვედრაში ხდება.**

— ამაზე პასუხისმგებლობას არ ვიხსნი, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკის ბრალია. ხშირი მატჩები ბიჭებს თამაშის ტემპის რეგულირებასაც ასწავლის.

**— ნაკრების საბაზო გუნდს — „სტუ-შევარდენს“ სულ მალე ჩემპიონთა თასის მატჩებიც ელის.**

— ამ ეტაპზე ჩვენი მეტოქე ზაპოროჟიეს კლუბია. მას 2 ოქტომბერს ვესტუმრებით, 9 ოქტომბერს კი თბილისში ვუმასპინძლებთ. ის ძალიან ძლიერი გუნდია. ფაქტობრივად, ესაა უკრაინის ნაკრები. შეიძლება ითქვას, ბელარუსის ნაკრები პლეი ოფიდან ზაპოროჟიელებმა გამოთიშეს. ბიჭები მთელი მონდომებით ემზადებიან მათთან სათამაშოდ. ვნახოთ...

ხელბურთელები იმედით ელიან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებს, რომლებიც იანვარში დაიწყება. მეტოქეთა ვინაობა სულ მალე, 27 სექტემბერს გვეცოდინება. იმედია, წარმატებით ვიასპარეზებთ.

**— ღმერთმა გისმინოთ. მე კი, თქვენი ვარჯიშების შემყურეს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს. უამისოდ კი წარმატებაზე ფიქრი ძნელია.**

— გეთანხმებით. დისციპლინა სათანადო დონეზე რომ არაა, შეცდომებსაც ამიტომ ვუშვებთ. ბიჭები ამხელა დატვირთვებს ჩვეულნი არ არიან და თავიდან ცოტათი გაუჭირდათ კიდეც. მაგრამ ამ რეჟიმთან შეგუება დროის საქმეა. მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ირაკლი თავაძე

# რეფერენდუმი

## საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

### სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

**ნინო სალუქვაძე**

**ტყვიის სროლა**

დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს. სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ პირველობაში პნევმატური და სპორტული პისტოლეტებით 1986-97 წლებში, ევროპის თოთხმეტგზის ჩემპიონი, ხუთჯერ ფლობდა მსოფლიოს სუპერთასს, დაამყარა ოცამდე მსოფლიოს რეკორდი, სეულის ოლიმპიადის (1988) ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი. 1999 წელს მოიგო მსოფლიოს თასი, გახდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი



1. სასიხარულო მომენტი ბევრი მქონია, მაგრამ ყველაზე გამორჩეული მაინც 1988 წელს სეულში მოპოვებული ოლიმპიური ჩემპიონობაა. ყველაზე გულდასაწყვეტი კი 1996 წელს ატლანტის ოლიმპიადის ფინალში ნაწვნევი მარცხი იყო. ასეთი კრახი ჩემს სპორტულ კარიერაში არასოდეს განმიცდია.

2. კრიზისში მხოლოდ სპორტი კი არა, მთლიანად საქართველოა. მე მგონი, როცა საერთო სიტუაცია გამოსწორდება, მაშინ მთავრობაც მიხედავს სპორტს. დღეს კი მას საამისოდ ნამდვილად არ სცხელა. ვიდრე სახელმწიფო სპორტისთვის მოიცლის, ის საერთოდ ჩაგვაკვდება ხელში. მის იმედზე ყოფნა დროის დაკარგვად მიმაჩნია. ამიტომ ყველა უნდა ეცადოს, ძლიერი სპონსორი გამონახოს. ყველამ საკუთარ თავს უნდა უპატრონოს.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, რობერტ შავლაყაძე
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, მზია ჯუღელი




# დაასახელეთ თქვენი რჩეული

ქართული სპორტის ისტორიას მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის სახელი ამშვენებს, მაგრამ ვინ იყო საუკეთესო საუკეთესოთა შორის, ვინ არის გულშემატკივრის რჩეული?

ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემს სპორტის მოყვარულთა სატელეფონო გამოკითხვა, რომელსაც *საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია* აწყობს *კომპანია „მეგაკომთან“* ერთად.

ჩვენი ტელეფონებია: 99-94-09, 97-36-60, 97-36-61, 97-36-62.

დარეკეთ სამუშაო დღეებში, 11-დან 15 საათამდე.

**დარეკეთ და დაასახელეთ თქვენი რჩეული!**

გამოკითხვის შედეგები გამოქვეყნდება 19 ოქტომბერს, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

*ამონაწერი რეფერენდუმის დებულებიდან: „საგანგებო ნომინაციაში ლაურეატი (ერთი სპორტსმენი) ვლინდება სპორტის გულშემატკივართა გამოკითხვით. გამარჯვებულად ცხადდება სპორტსმენი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს. ლაურეატს ენიჭება ტიტული — „გულშემატკივრის რჩეული“.*

სარეფერენდუმო კომიტეტი,
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

სსჟა

მეგაკომი

# არმია წესრიგმა იხსნა

მეჩვიდმეტე ტური
თბილისი
23 სექტემბერი

**უნივერსიტეტი 7:7 (7:0) ასკ**

უნივერსიტეტი: ლ. წიკლაური (გ. წიკლაური), კუთარაშვილი, ჯანუკაშვილი (სანაძე), მჟავანაძე, ლაბაძე (ზესაშვილი, კიზირია), მჭედლიშვილი, კოკაია, რატიანიძე, ჭუმბურიძე, ახობაძე, ჯაში, ბოლღაშვილი, ქირიკაშვილი, ელოშვილი, ჯავრიშვილი (სვანიძე)
ҍლ — კუთარაშვილი ҍგ — ახობაძე
ასკ: ლიქოქელი, სუჯაშვილი, შენგელია (მაისურაძე), უჩავა, მათიაშვილი, სვანიძე (ჭელიძე), მინაშვილი, გაფრინდაშვილი, გეგეშიძე (აბრამიშვილი, მაღრაძე), კიკნაძე, კოდუა (აბუსერიძე), კაპანაძე, კილაურიძე, ზაქარიაძე, ანთაძე
ҍლ — კაპანაძე, ҍგ — უჩავა
მსაჯი: გ. აბაშიძე
მეთვალყურე: გ. ჭუმბურიძე

გუშინ გამართული შეხვედრა უფრო იმით იყო საინტერესო, რომ არმიელებს ჰაერივით სჭირდებოდათ ქულები, წინ გაჭრილ მრისხანე სამეულს („დათვები“, „ყოჩები“, „ლოკომოტივი 1“) სოლიდური სხვაობით რომ არ ჩამორჩენოდნენ, ხოლო სტუდენტები სახელებს რომ არ უფრთხიან, უკვე დაამტკიცეს. ასკ-ს ოთხეულში ადგილი დაბევებული აქვს და ამ მატჩში ფავორიტად სწორედ სტუმრები ითვლებოდნენ. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებული არმიელები მოედანზე შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ, განსაკუთრებით თვალში საცემი აბუსერიძის არყოფნა იყო, რამაც ასკ შეტევებს მარტივი და ერთფეროვანი სახე მისცა.

მატჩი ძალიან ნელ ტემპში დაიწყო. ეს, ალბათ, დატბორილი და ატალახებული მოედნის ბრალი უფრო იყო. მობურთალებს ძალიან უჭირდათ მინდორზე გადაადგილება.

რამდენიმე წუთში მეტოქეებმა დამძიმებულ გრუნტს ალღო აუღეს და ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ორივე გუნდის მორკინალები. სწორედ მათი მონდომების ხარჯზე იქმნებოდა სახიფათო მომენტები, როგორც მასპინძლების, ასევე სტუმართა სალელოე მოედანთან, მაგრამ მცველები ბოლო წამს ახერხებდნენ შეტევების შეჩერებას. უნდა ითქვას, რომ სტუდენტთა რიგებში მოთამაშე აუტების მოწოდებისას სათანადოდ ვერ ირჯებოდა, რამაც არმიელებს მცირედი უპირატესობა მიანიჭა. მან მხოლოდ ერთხელ შეძლო, ბურთს დაუფლებოდა. სწორედ ამ დროს გაათამაშა შედეგიანი კომბინაცია „უნივერსიტეტმა“, კუთარაშვილმაც დაუფასა გარჯა თანაგუნდელებს და მეტოქესთან ჭიდილში საკმაოდ ლამაზი ლელო გაიტანა. ახობაძემ გაზარდა ანგარიშში სხვაობა და ტაიმიც სტუდენტთა გამარჯვებით დასრულდა.

შესვენებისას ასკ-ის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ თავისი გუნდის თამაშში კორექტივები შეიტანა. ამას იგი საკმაოდ ემოციურად აკეთებდა და საბაბიც ჰქონდა — მოედანზე მყოფ მობურთალთაგან ერთეულები თუ ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას. მეორე ტაიმში არმიელებმა აბუსერიძე და ჭელიძეც ათამაშეს. ამათ გამოაცოცხლეს თამაში. რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს. ერთ-ერთი კაპანაძის მშვენიერი და, რაც მთავარია, შედეგიანი გარღვევით დამთავრდა — უჩავამაც გარდასახვით ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ ორივე გუნდი ცდილობდა, დაწინაურებას, მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოვიდა.

**ბაჩო სვანიძე**

მეჩვიდმეტე ტური
ბათუმი
23 სექტემბერი

**დათვები 7:25 (7:12) ყოჩები**

გუშინ ბათუმელი „დათვები“ წლეულს პირველად დამარცხდნენ და თანაც შინ. ის, რაც თბილისში ვერ შეძლო „ლოკომოტივი 1“-მა, ბათუმში მოახერხა შარშანდელმა ჩემპიონმა „ყოჩებმა“. ამათ შეხვედრას ინტრიგას ისიც მატებდა, რომ თბილისურ მატჩში თავიდან დაწინაურებულ მასპინძლებს თამაშის მიწურულს ბათუმელებმა არაფერი დაანებეს, ბოლომდე იბრძოლეს და ფრეს მიაღწიეს. გუშინდელ თამაშში კი ყველაფერი ბათუმელების საწინააღმდეგოდ წარიმართა. „დათვებმა“ პირველი ტაიმი 7:12 წააგეს, მეორეში თავიანთ მონაგარს ველარა შემატეს, სტუმრებმა კი პირიქით — გაილაღეს და მნიშვნელოვანი გამარჯვებაც იზეიმეს.



# რა დევს ნიჩაბზე?

## საქართველოში ძალიან ბევრი რამ. ადამიანის ბედიც

### დრამა-შესავალი ერთ სურათად

სცენა წარმოადგენს არცთუ შორეული წარსულის საქართველოს მთავარი სპორტული ორგანიზაციის ერთ-ერთი ჩინოვნიკის კაბინეტს. შემოდიან სპორტულ სამოსში გამოწყობილი შეჭარმაგებული მამაკაცები. ადვილი მისახვედრია, შეჯიბრებიდან დაბრუნებული მწვრთნელები არიან. უხასიათოდ ჩანან, ნირწამხდრები, ეტყობათ, მოსალოდნელი რისხვისა ეშინიათ. მოლუშული „სახეობის კურატორი“ ხელით ანიშნებს, დასხედითო.

ჩინოვნიკი: რა ქენით, კიდევ ჩაისვარეთ, არა...

მწვრთნელთაგან უფრო გაბედული: რა გვექნა, გიორგევიჩ, ძველი ნიჩაბი გვქონდა და...

ჩინოვნიკი: ბიჭო, აი, ნიჩაბს რო ...................., მერე გეცოდინება, როგორ მელაპარაკო...

დაიხსომეთ ეს ნიჩაბი. მნიშვნელოვანი დრამატურგიული დეტალია — პირველ მოქმედებაში კედელზე დაკიდებული ჩეხოვის თოფივით მერე აუცილებლად გაისვრის.

ისე, ეს ყველაფერი „დოკუმენტური კადრებია“, ჩემი თვალით მინახავს, ჩემი ყურით გამიგია.






გიორგი კახიშვილი და ალექსანდრე დვალიშვილი. გიორგის მუხლებზე შვილი, ლუკა უზის. ეგრეა, სპორტსმენებსაც ჰყავთ შვილები და მათაც არავისზე ნაკლებად სჭირდებათ მოვლა-პატრონობა

#### პარალელური ბიოგრაფიები

გიორგი კახიშვილი და ალექსანდრე დვალიშვილი ერთი თაობისანი არიან. გიორგი ალეკოზე ორი წლით უფროსი კია, მაგრამ ორივენი ერთ, 1986 წელს ჩასხდნენ კანოეში. ეს რუსთავში იყო. ჯერ შოთა კურტანიძე წვრთნიდათ, მერე ალექსანდრე წივწივაძე. ჯანი ერჩოდათ და ნიჩბებსაც ლონივრად მოუსვეს. შინ ხომ ივარგეს და, ჩვენი მუდამ ხელმოკლე და მოუწყობელი ნიჩბოსნობის კვალობაზე არც საკავშირო შეჯიბრებებში შეურცხვენიათ თავი. ისე რომელი რუსი მწვრთნელი მიიწვევდა ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში. მერე ის ამბები დატრიალდა, ამ რუსთაველი ბიჭების ნავი და მთელი ჩვენი ნიჩბოსნობა კი არა, ქვეყნები რომ ამოატრიალა მკვდარი თევზივით. კახიშვილის და დვალიშვილის გზებიც დროებით გაიყარა. გიორგი რუსეთში, ტოლიატში წავიდა. თან მწვრთნელობდა, თან ისევ ნიჩაბს უსვამდა. რუსეთში ქალაქის სახელით გამოდიოდა, უცხოეთში — რუსეთის სახელით. ერთადგილიანი კანოეთი რუსეთის ჩემპიონიც გახდა 1994 წელს. მისი ძველი მეწყვილე ამ დროს გერმანიას შეკედლებოდა. დვალიშვილმა და ქალაქ ჰერდეკეს კლუბის კიდევ ერთმა ქართველმა წევრმა, ფოთელმა იონა მილორავამ ორადგილიანი კანოეთი გერმანიის საკლუბო პირველობაც მოიგეს. ასე გადაირჩინეს ბიჭებმა თავი როგორც ნიჩბოსნებმა და სამშობლოში დაბრუნდნენ. გიორგიმ, რუსეთში ცხოვრებას ველარ გავუძელიო, ალეკო კლუბის წევრი იყო და არც მას, არც კლუბს ერთმანეთთან დიდი ვალდებულებანი არ აკავშირებდათ. შინ დაბრუნება კი უფრო იმან გადააწყვეტინათ, რომ ჩვენში რაღაც-რაღაცეები შეიცვალა და იმედის ნასახიც გაჩნდა.

1998 წლიდან ისევ ერთად არიან. დროც სხვაა უკვე და ვითარებაც. ახლა მართლა საქართველოს სახელით შეგიძლია გამოსვლა. შეგიძლია, თუ შეძლებ, თუ ფული გამოიმეტეს. გამოიმეტეს, ესენიც ენახოთო და შარშან უნგრეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაუშვეს. გაუშვეს ორთვიანი შეკრების საგზლით — ერთი თვე სიონში, ერთიც — ფოთში. ეს დაახლოებით იგივეა, კაცი ფეხით შორეთში გაგზავნო და თან ორი პურის ყუა გაატანო, როგორც გინდა, იმყოფინეო. თქვენ წარმოიდგინეთ, იმყოფინეს, უფრო სწორად, მშივრებმა ანუ აქაურ, კუსტარულ პირობებში მცირე ხნით მომზადებულებმა ზოგ-ზოგი მაძღარივით, ნიჩბოსნობის მეტი სხვა საფიქრალი რომ არა აქვთ და ერთი შეჯიბრების მორჩენისთანავე უმალ მეორეზე ფიქრსა და მზადებას იწყებენ საუცხოო პირობებში, აი, იმათნაირად გაცურეს. მოკლედ, მეთვრამეტენი იყვნენ მსოფლიოში საუკეთესო ორადგილიანი კანოეებით მოასპარეზე ეკიპაჟთა შორის. რაც მთავარია, ესენი მთლად უიმედონი არ არიან, წინ ხომ სიდნეის ოლიმპიადაა და ვინ იცის, იქნებო, აფიქრებინეს ჩვენი სპორტის თავკაცებს. ჰოდა, დადგა 1999 წელი, რომელზე თხრობას ბიჭები ამ სიტყვებით იწყებენ: დიდი მადლობა ჯანო ბაგრატიონს... ეს იმიტომ, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა პოტენციურ ოლიმპიელებს სახსარი და ინტერესი გაუჩინა — სტიპენდია დაუნიშნა, უახლესი ნავი უშოვა, შეკრებების მოსაწყობად დატრიალდა... მთელი აპრილი ფოთში იყვნენ, მერე პოლონეთში წავიდნენ ორთვიან შეკრებაზე. სწორედ იქ დახვდათ ზემოთ ნახსენები და ნანინანატრი ახალი კანოე. პოლონეთში მზადებისას იქ, პოზნანში მსოფლიო თასის რეგატა მოეწყო. ჩვენებისთვის ეს წლეულს პირველი შეჯიბრი იყო. მე-14 ადგილზე გავიდნენ. შეკრება გაგრძელდა და პოლონეთიდანვე, პოლონელებისვე ავტობუსით ზაგრებში, ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრნენ. არის ვითომ მე-11 ადგილი ურიგო შედეგი ფაქტობრივად გუშინ შეყრილი, ათასნაირად ნაწვალები ნიჩბოსნებისთვის? არა გვგონია. რაც მთავარია, ბიჭები აშკარად უკეთესობის ტალღაზე იყვნენ — პროგრესის პერსპექტივა აშკარა იყო. მაგრამ... პოლონეთში შეკრებაზე საკმაო დაგახარჯეთ, შედეგი კი რა... ამიტომ ჩვენგან ფულს ველარ მიიღებთო — დაემდურნენ ნიჩბოსნებს დეპარტამენტში. არადა, ფული სწორედ ახლა იყო საჭირო: ერთი რომ, „ფორმაში შესვლა“ არ შეფერხებულიყო, მეორეც, კარგა ხანია, კახიშვილი გატეხილ-დაწებებულ ნიჩაბს უსვამდა და როდის შემოატყდებოდა ხელში, რა იცოდა. ამ ნიჩაბზე რომ ჩამოვარდებოდა ხოლმე სიტყვა, უმალ ეს აბსურდული პასუხი ისმოდა, ჯერ შედეგი, მერე ნიჩაბიო. ასე, ისე, ბიჭები მშრალზე დარჩნენ, აგვისტოს ბოლოს კი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი იყო მილანში. 1-მე-12 ადგილებზე გასულებს თავი სასიდნეო ქუდში ჰქონდათ. ისევ ჯანო ბაგრატიონი მიდგა-მოდგა, რუსთავის მერს სთხოვა ბიჭების დაფინანსება საიტალიო შეკრებისა და მგზავრობისთვის. მერია თავის წილადაც დაიხარჯა, „აზოტის“ ქარხანაც შეიამხანაგა, ბაგრატიონმა მილანში კვება-ცხოვრების საქმე მოაგვარა და, აჰა, მილანიც. პირველი, შესარჩევი გაცურვა 1000-მეტრიან დისტანციაზე. მე-5 ადგილი და მომდევნო, ნახევარფინალურ ეტაპში მონაწილეობის უფლება. ჭავიდა ქართული კანოე ნახევარფინალის სტარტზე, კარგად გაცურა, სადღაც შუა დისტანციაზე მეორეც იყო და... .

#### ნიჩაბი გატყდა!

ნიჩაბიც გატყდა და სხვაც — ბედი, გული, იმედი... ის გაცურვა რის ვაივაგლახით, თუმც მაინც მეხუთე ადგილით დაასრულეს, მაგრამ ფინალში გასასვლელად ეს არ კმაროდა. მერე ის ბედკრული და ბედნავსი ნიჩაბიც დააწებეს კიდევ ერთხელ, სხვა, სპრინტერულ დისტანციებზეც — 500 და 200 მეტრზეც გაცურეს, მაგრამ ფინალში გასვლა ანუ სიდნეის საგზური უკვე ზღაპარი იყო...

— ახლა რას აპირებთ, რა უნდა ქნათ-მეთქი, ვკითხე ნიჩბოსნებს, რაც ზემოთ წაიკითხეთ, იმის თხრობა რომ დაასრულეს და ისევ ჩამოღონდნენ.

— რა უნდა ვქნათ, აქ ჩვენთვის ყველაფერი მორჩა, პერსპექტივა — არანაირი, ულიცენზიოდ დარჩენილებს სტიპენდიაც მოგვეხსნა, იმათზე უნდა გადანაწილდეს, ვისაც კიდევ აქვს ლიცენზიის მოპოვების შანსიო. ეს ბუნებრივია, ეს არც გვწყინს, ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჯანო ბაგრატიონმა, რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ იმაზე ვიტკიებთ გულს, სხვებსაც რომ ცოტაც მოენდომებინათ, 200-დოლარიან ნიჩაბს არ გადაყვებოდა ჩვენი ბედი და კარიერა საქართველოში.

— საქართველოო, ისე თქვით, ისევ სხვაგან ხომ არ აპირებთ წასვლას?

— ეგრეა. ღმერთი-რჯული, კარგის მეტი არაფერი გვინდოდა, მაგრამ რა გამოვიდა და როგორ, იცით. ჩვენც ხალხი ვართ, თავისა და ოჯახის რჩენა გვინდა. ბავშვს რა ვაჭამო? მთელი ცხოვრება ნიჩაბს ვუსვამთ, ესაა ჩვენი ხელობა, რომელიც აქ, ფაქტობრივად, წაგვერთვა. სხვაგან კი არის საჩვენო სამუშაო და გვეუბნებიან კიდეც, წამოდით, რა პრობლემაა, ნავსაც მოგცემთ, ნიჩაბსაც, გასამრჯელოსაც დაგინიშნავთ, თქვენ მარტო ივარჯიშეთ, ჩვენი სახელით გამოდით დიდ შეჯიბრებებზე და თუ ივარგებთ, მაგასაც დაგიფასებთო...

— ვინ გეუბნებათ ამას, რუსები, თურქები?

— ბერძნები.

— მაგათ ბევრი კი მიუტყუებიათ, მაგრამ ზოგს არც ისე წასვლია საქმე, როგორც პირდებოდნენ.

— ჩვენ სხვა გზა აღარ გვაქვს. უკვე ველაპარაკეთ, ათენის კლუბ „ენოასთან“ ერთწლიანი კონტრაქტიც გავაფორმეთ. ოღონდ პირობა ასეთია — საბერძნეთის მოქალაქეები უნდა გავხდეთ.

— დათანხმდით მერე? ხომ იცით, გვარსაც შეგიცვლიან.

— ბოლო-ბოლო, არც პირველები ვართ და, თუ ასე გაგრძელდა, არც ბოლოები ვიქნებით...

გაისად, ზაფხულში, სიდნეის ოლიმპიადამდე ევროპის ჩემპიონატია. არავის გაუკვირდეს (შემცხადებელი ხომ არც გამოჩნდება), თუ საბერძნეთის სახელით მოასპარეზე კახიდის-დვალიდისის კანოისტთა წყვილი იხილოს ან ამბავი რამ გაიგოს. კახიშვილისთვის გვარის „გადაბერძნულება“ ათენში არ გაუჭირდებათ, კახი კახიაშვილზე არიან ნაჩვევნი. ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ — ვკარგავთ და ვკარგავთ სპორტსმენებს...

მიზეზი? თუნდაც ის ამბავი, შესავალში რომ მოგითხრეთ. დღესაც არიან ისეთნი, ქართულ სპორტში ჭკუა რომ მოეკითხებათ და იმ ჩინოვნიკივით კი ფიქრობენ და საქმიანობენ. ის კაცი, იმის ნაცვლად, ნიჩაბი ეშოვა სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებს ნიჩაბზე გასმით ემუქრებოდა. იმიტომაც არის ნიჩაბზე და უარესზე გასმული ჩვენი სპორტი.

**თამაზ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# უჩინარი გამოჩნდა




„ვუელტას“ მე-18 ეტაპი გვადალახარასა და ალტო-დე-აბანტოსს შორის გაჭიმულ 166,3 კილომეტრიან დისტანციაზე გაიმართა და საკმაოდ სენსაციურადაც დასრულდა. გაიმარჯვა ესპანელმა რობერტო ლაისეკამ, რომელიც აქამდე „ვუელტაზე“ არც კი ჩანდა. ლაისეკამ ფინიშის ხაზი უშფოთველად, ხელებაწეულმა გადაკვეთა და მეორე ადგილზე გასულ ბელგიელ ფრანკ ვანდენბრუკს მთელი 17 წამით გაუსწრო, ხოლო მესამე პრიზიორი, თანამემამულე იგორ გონსალეს გალდეანო სულაც 36 წამით დაჩაგრა. მიუხედავად ამისა, სწორედ გონსალეს გალდეანოს ერგო თვისტომთაგან მომეტებული ყურადღება, რადგან იგია ერთადერთი, ვისაც საერთო ჩათვლაში ჯერჯერობით უცვლელად წინმავალი გერმანელის, იან ულრიხის დამხობა რეალურად ძალუძს. ულრიხი მე-18 ეტაპზე ოდენ მე-8 ადგილს დასჯერდა, ლაისეკას 55 წამით ჩამორჩა, გონსალეს გალდეანოს — 19-ით, რის შემდეგაც ამ უკანასკნელთან საერთო ჩათვლაში მისი უპირატესობა 30 წამამდე შემცირდა. დარჩენილ სამ ეტაპზე ამ სხვაობის შემცირება არცთუ დაუჯერებელი ჩანს, თუმცა თავად ესპანელი კომენტარებში ზომიერებას იჩენს. „ამის გაკეთება ძალიან ძნელია, მაგრამ მე მაინც მაქვს იმედი“ — წყნარად უთხრა მან სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტებს.

**დავით გულუა**


REUTERS

რობერტო ლაისეკა

**მეთვრამეტე ეტაპი**

გვადალახარა — ალტო დე აბანტოსი
225 კმ

1 რობერტო ლაისეკა (ესპანეთი, ესკატელი) — 4სთ 18წთ 39წმ
2 ფრანკ ვანდერბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — +17წმ
3 ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — +21წმ
4 რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — +36წმ
5 იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — +36წმ

**საერთო ჩათვლა**

1. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — 79 სთ 46 წთ 2 წმ
2. იგორ გონსალეს გალდეანო (ესპანეთი, ვიტალიციო) — + 30 წმ
3. რობერტო ერასი (ესპანეთი, კელმე) — + 2 წთ 16 წმ
4. ხოსე მარია ხიმენესი (ესპანეთი, ბანესტო) — + 3 წთ 01 წმ
5. პაველ ტონკოვი (რუსეთი, მაპეი) — + 3 წთ 42 წმ


იან ულრიხი (მარცხნივ) მარტო სახელი აღარ არის

# ულრიხი პანტანიმ დააბრუნა

სულ რაღაც ორი წლის წინ მას მუდმივ წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ, წლეულს კი ლამის საერთოდ ჩამოწერეს. თუმცა „ვუელტაზე“ იან ულრიხმა დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი უძლიერესი მრბოლია და ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში.

ძნელი წარმოსადგენი იყო, თუ 1997 წლის „ტურ დე ფრანსის“ ტრიუმფატორი ამ „ვუელტაზე“ რაიმე წარმატებას მიაღწევდა. ჭარბი წონა და ტრავმები მის წისქვილზე ნამდვილად არ ასხამდა წყალს. სწორედ ამის გამო ჩაუვარდა ულრიხს სეზონის უმეტესი ნაწილი. გერმანიისა და შვეიცარიის ტურებში წაქცევამ და მუხლის ტკივილმა „ტელეკომის“ ლიდერი „ტურ დე ფრანსს“ გამოაკლო. 25 წლის გერმანელს წელიწადზე მეტი იყო, აღარაფერი მოეგო. ბოლოჯერ მან შარშან, „ვუელტს“ მეხუთე ეტაპზე იმარჯვა.

მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ „ვუელტაზე“ დამაჯერებლად ლიდერობს, ულრიხი მაინც თავმდაბალია: „ყველაფერი იმაზე გაცილებით უკეთ ხდება, ვიდრე წარმოვიდგენდი. გაოცებულიც ვარ საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე ყოფნით. კარგად ვიყავი მომზადებული, მაგრამ მიზნად მხოლოდ ათეულში მოხვედრა მქონდა. თავიდან ვამბობდი კიდეც, საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლას ვერ შევძლებ-მეთქი. ძალიან მინდოდა ინდივიდუალური რბოლების და ანდორის ეტაპის მოგება, სადაც „ტურის“ ლიდერის ყვითელი მაისურა პირველად ჩავიცვი“.

საფრანგეთში გამოუსვლელობის შემდეგ ულრიხი გაძლიერებულად ვარჯიშობდა ზედმეტი წონის დასაგდებად. ესპანეთში ის თავის იდეალურ წონაზე (73კგ) მხოლოდ ორი კილოგრამით მძიმე ჩავიდა, მაგრამ ეს ზედმეტი წონაც მალე ჩამოიფერთხა.

ყველას ეგონა, რომ როსტოკელი ინდივიდუალურ რბოლებში გამოიჩენდა თავს, მაგრამ ტელეკომელმა მთებში განახორციელა შეტევები და სწორედ იქ აჯობა ესპანელთა სამ ფალავანს — აბრაამ ოლანოს (ონსე), ფერნანდო ესკარტინს (კელმე) და ხოსე მარია ხიმენესს (ბანესტო). რუსი პაველ ტონკოვის (მაპეი) აზრით კი, ტურნირზე ულრიხის გამარჯვება უკვე საეჭვო აღარ არის.

„ველოსპორტი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და კიდევ დიდხანს მსურს რბოლებში მონაწილეობა. ჯერ ისევ ახალგაზრდა ვარ და ბევრი რამ უნდა ვისწავლო. შარშან მარკო პანტანიმ დამარცხების მწარე გემო გამაგებინა. ეს კი ნამდვილად გამომადგა“ — თქვა ულრიხმა, ვისზეც ერთხანს ამბობდნენ, ზედიზედ ექვს „ტურ დე ფრანსს“ მოიგებს და ისტორიაში უძლიერესი მრბოლის სახელით შევაო. „ვერავინ იტყვის, ულრიხი რას შეძლებს. იგი ამოუცნობია“ — ეს სიტყვები „კელმეს“ სპორტულ დირექტორ ალვარო პინოს ეკუთვნის.

თუმცა ერთი რამ უკვე დღესავით ნათელია — იან ულრიხი დიდ სპორტს დაუბრუნდა, ისე დაბრუნდა, როგორც ეკადრებოდა და მომავალში უეჭველად ბევრ ტიტულსაც მოიპოვებს.

**გაგი გურული**

ფრენბურთი

# ვინ იქნება მეხუთე?

Campionato Europeo Pallavolo femminile ITALIA '99

იტალიაში, ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ბოლო, მეოთხე ნახევარფინალისტიც გაირკვა. ხორვატებისთვის გერმანელებთან შეხვედრას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ენიჭებოდა. პირველი ორი გამარჯვების შემდეგ ხორვატებს თავი უკვე ქუდში ჰქონდათ და მათმა რამდენიმე ლიდერმა დამსახურებული დასვენების უფლება მიიღო, რითაც გერმანელებმა ისარგებლეს და მშრალად მოუგეს მეტოქეს — 3:0 (25-19, 25-23, 25-13), ეს კი მათთვის ნახევარფინალის ნანატრსა და ერთობ მოულოდნელ საგზურს ნიშნავდა. ვისაც ამასწინათ რაინის შვილთა სამსოფლიოჩემპიონატო ფიასკო ახსოვს (ჯგუფში სამივე წაგება), ამაში უეჭველად დაგვეთანხმება, მაგრამ შემდეგ წყალნი წავიდნენ და გერმანელების მწვრთნელი, ზიგფრიდ კოლერიც გაიყოლეს, ახალი მწვრთნელის, უსაშველოდ მოკლე გვარსახელიანი ჰი ვან ლისგან მისი შეცვლა კი ნაკრებს აშკარად დაეტყო და აგერ შედეგიც! თუმცა საეჭვოა გერმანელებმა მეტი წინსვლა მოახერხონ, რადგან ნახევარფინალში უპირველეს ფავორიტებად შერაცხულ რუსებს უნდა დაეჯახონ, რომლებმაც ჯგუფური ტურნირის მესამე მატჩიც მოიგეს, თანაც ამჯერად მათსავით ფავორიტად მიჩნეულ იტალიასთან. აპენინელებმა რუსები პირველ სეტში კი დაამარცხეს, მაგრამ მერე ნიკოლაი კარპოლმა თავის დედლებს ალბათ მძლავრად დაჰყვირა და შედეგიანადაც. მომდევნო სამ პარტიაში მოედანზე რუსები ბატონობდნენ და გაიმარჯვეს კიდეც: 3:1 (22-25, 25-21, 27-25, 25-19). დამარცხებას იტალიელთა დამრიგებლის ანჯელინო ფრიგოლისთვის ხელი არ შეუშლია რუსებთან შეხვედრა იტალიელთა აქამდე საუკეთესო მატჩად მიეჩნია. ამასობაში გერმანელთა წარმატებამ ერთი ისიც განაპირობა, რომ ჩემპიონატზე მეხუთე ადგილისთვის ბრძოლას მომეტებული ინტერესი შესძინა. ცოტა ხანში ბრემენში სიდნეის ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი უნდა შედგეს, რომელზეც ევროპის მხოლოდ ოთხი საუკეთესო გუნდი დაიშვება, მაგრამ ტურნირის მასპინძლებისთვის ტურნირში თამაშის უფლება თურმე ავტომატურად მიუციათ და ამდენად, ახლა იტალიაში მეხუთე ადგილზე გასულსაც შეუძლია ბრემენში თამაში. ამის გაგონება იყო და დაფაცურდნენ აქამდე გაწბილებული და ყურებჩამოყრილი ჰოლანდიელები, ბულგარელები, რუმინელი და პოლონელები. მიმომხილველთა აზრით, მათ პაექრობაში ყველაზე დიდი შანსი დასავლეთევროპელებს აქვთ. რაც შეეხებათ ნახევარფინალებს, ისინი რომსა და პერუჯაში გაიმართება. გერმანია რუსეთს ეთამაშება, ხოლო იტალია — ხორვატიას.

**დავით გულუა**


იტალია — რუსეთი. სიმონა ლეჯერიმ (4) და მისმა თანაგუნდელებმა პირველ პარტიაში ძალიან კი იყოჩაღეს, მაგრამ მერე რუსებისგან მაინც დაიჩაგრნენ

**სატურნირო ვითარება**

**A ჯგუფი. რომი**

III ტური

რუსეთი — იტალია — 3:1 (22:25, 25:21, 27:25, 25:19)
ჰოლანდია — რუმინეთი — 3:2 (17:25, 23:25, 25:21, 25:21, 15:9)

| | მ | წ | ქ | პარტიები |
|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 3 | 0 | 6 | 9:1 |
| 2. იტალია | 2 | 1 | 5 | 7:5 |
| 3. ჰოლანდია | 1 | 2 | 4 | 4:8 |
| 4. რუმინეთი | 0 | 3 | 3 | 3:9 |

**B ჯგუფი. პერუჯა**

III ტური

პოლონეთი — ბულგარეთი — 3:2 (25:23, 15:25, 32:30, 22:25, 15:11)
გერმანია — ხორვატია — 3:0 (25:19, 25:23, 25:13)

| | მ | წ | ქ | პარტიები |
|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 2 | 1 | 5 | 6:3 |
| 2. გერმანია | 2 | 1 | 5 | 7:5 |
| 3. ბულგარეთი | 1 | 2 | 4 | 5:7 |
| 4. პოლონეთი | 1 | 2 | 4 | 5:8 |

**მეხუთე ადგილისთვის ითამაშებენ:**

რუმინეთი — ბულგარეთი
ჰოლანდია — პოლონეთი

**ნახევარფინალი:**

იტალია — ხორვატია
რუსეთი — გერმანია

## კორაჩის თასი

### შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩები. 21-22 სექტემბერი

1 მონსი (ბელგია) — კელუში (პორტუგალია) 75:60 (89:79)
2 რასინგი (ლუქსემბურგი) — ბაიერი (გერმანია) 70:89 (65:109)
3 ცსკა (უკრაინა) — გომელი (ბელარუსი) 115:70 (73:67)
5 ბორაცი (ბოსნია) — ლევსკი (ბულგარეთი) 86:81 (57:72)
6 აპოლონი (კვიპროსი) — ფრიბურგი (შვეიცარია) 71:62 (88:81)
7 მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) — აელ (კვიპროსი) 103:76 (102:66)
8 არკადია (ავსტრია) — სპარტა (ჩეხეთი) 67:78 (70:63)
9 ზაგრები (ხორვატია) — სლობოდა დიტა (ბოსნია) 64:59 (60:54)
10 სეიშალი (პორტუგალია) — ლუგანო (შვეიცარია) 76:72 (71:83)
11 ულმი (გერმანია) — ჰუიმა (ფინეთი) 86:84 (87:100)
12 ლეოპარდსი (ინგლისი) — ირბ (ისლანდია) 80:78 (75:111)
13 გენტი (ბელგია) — შტალბაუ (ავსტრია) 61:57 (66:58)
14 დონარი (ჰოლანდია) — ვაკალო (შვეიცარია) 61:78 (73:86)
15 ინტერი (სლოვაკეთი) — როგლა (სლოვენია) 87:64 (70:58)
16 ჰაპოელი (გალ. ელიონი, ისრაელი) — სიბიუ (რუმინეთი) 107:53 (74:61)
17 ბეშიქთაში (თურქეთი) — პოსუშიე (ბოსნია) 79:65 (62:43)
18 ლოკა კავა (სლოვენია) — შიროკი (ბოსნია) 91:80 დ.დ (67:75)
19 ზრინიევაცი (ხორვატია) — კაპფენბერგი (ავსტრია) 63:58 (67:69)
20 ოსტენდე (ბელგია) — ეტცელა (ლუქსემბურგი) 105:49 (99:63)
21 მადეირა (პორტუგალია) — ფერკერკი (ჰოლანდია) 72:53 (80:68)
22 ბკ კიევი (უკრაინა) — აზოტი (საქართველო) 90:72 (100:74)
23 აზოტი უნია (პოლონეთი) — პილოსეტი (ფინეთი) 80:85 (86:92)
24 ტრირი (გერმანია) — პაო (კვიპროსი) 97:75 (63:65)
25 ბენსტონი (ხორვატია) — ციტლიუკი (ბოსნია) 74:67 (59:67)
26 ბრაუნშვაიგი (გერმანია) — ოვარენშე (პორტუგალია) 74:62 (55:94)
27 ანტვერპენი (ბელგია) — ბერტრანჟი (ლუქსემბურგი) 85:48 (95:57)
28 ლაჰტი (ფინეთი) — გროდნო (ბელარუსი) 81:74 (63:73)
29 მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — კერავნოსი (კვიპროსი) 66:57 (67:67)
30 ზაგორიე (სლოვენია) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 97:80 დ.დ (87:82)
31 ქარშიაქა (თურქეთი) — იამბოლგაზი (ბულგარეთი) 81:59 (54:62)
32 სლოვანი (სლოვენია) — ატომერომუ (უნგრეთი) 70:65 (86:85)

*ფრჩხილებში პირველი მატჩის შედეგია*
*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ჯგუფურ ეტაპზე*

### ჯგუფური ეტაპი

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | **I ჯგუფი** |
| გენტი (ბელგია) | ოვარენშე (პორტუგალია) |
| ვაკალო (შვეიცარია) | ფუენლაბრადა (ესპანეთი) |
| ანტიბი (საფრანგეთი) | ანტვერპენი (ბელგია) |
| ხირონა (ესპანეთი) | ლიმოჟი (საფრანგეთი) |
| **B ჯგუფი** | **J ჯგუფი** |
| გალათასარაი (თურქეთი) | ერიქსონი (პოლონეთი) |
| ზრინიევაცი (ხორვატია) | გროდნო (ბელარუსი) |
| იმოლა (იტალია) | შიაულიაი (ლიტვა) |
| ლოკა კავა (სლოვენია) | უნიქსი (რუსეთი) |
| ****C ჯგუფი** | **K ჯგუფი** |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | ლუგანო (შვეიცარია) |
| რეჯანა (იტალია) | ნანსი (საფრანგეთი) |
| ნიკოლ ფერტი (მაკედონია) | ირბ (ისლანდია) |
| | ჰუიმა (ფინეთი) |
| **D ჯგუფი** | **L ჯგუფი** |
| უნიკახა (ესპანეთი) | ცსკა (უკრაინა) |
| ბაიერი (გერმანია) | სემა (ლიტვა) |
| მონსი (ბელგია) | ნობილესი (პოლონეთი) |
| პეპსი (იტალია) | ურალ გრეიტი (რუსეთი) |
| **E ჯგუფი** | ****M ჯგუფი** |
| აეროპორტი (იტალია) | ქარშიაქა (თურქეთი) |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | სლოვანი (სლოვენია) |
| ინტერი (სლოვაკეთი) | ნიარ ისტი (საბერძნეთი) |
| ჰაპოელი (გალ. ელიონი, ისრაელი) | |
| **F ჯგუფი** | **N ჯგუფი** |
| ლოკომოტივი (მინვოდი, რუსეთი) | ტელეკომი (თურქეთი) |
| პილოსეტი (ფინეთი) | პერისტერი (საბერძნეთი) |
| ბკ კიევი (უკრაინა) | ტრირი (გერმანია) |
| ალიტა (ლიტვა) | ციტლიუკი (ბოსნია) |
| **G ჯგუფი** | ****O ჯგუფი** |
| მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) | არისი (საბერძნეთი) |
| ზაგრები (ხორვატია) | აპოლონი (კვიპროსი) |
| მარუსი (საბერძნეთი) | ლევსკი (ბულგარეთი) |
| სპარტა (ჩეხეთი) | |
| ***H ჯგუფი** | **P ჯგუფი** |
| კოუვოტი (ფინეთი) | ლე მანი (საფრანგეთი) |
| პოგონი (პოლონეთი) | მადეირა (პორტუგალია) |
| ბორასი (შვედეთი) | ესტუდიანტესი (ესპანეთი) |
| ნეპტუნასი (ლიტვა) | ოსტენდე (ბელგია) |

** – შვედეთის „ბორასი“ და ფინეთის „კოუვოტი“ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ შესარჩევი ეტაპის №4 მატჩში და გამარჯვებული დაიკავებდა ადგილს H ჯგუფში. რადგან ფიბა-მ კორაჩის თასიდან გარიცხა ამ ჯგუფის წევრი რუსეთის „შახტიორი“, „ბორასი“ და „კოუვოტი“ შესარჩევი ეტაპის გარეშე იქნენ დაშვებულნი ჯგუფურ ეტაპზე*

*** – იუგოსლავიის კლუბებმა „ბეოპეტროლმა“, „სპარტაკმა“ და „ქელეზნიკმა“ უარი თქვეს კორაჩის თასზე ასპარეზობაზე ფიბა-მ მათ მიერ დაკავებული ადგილები გააუქმა და ამიტომ C, M და O ჯგუფებში სამ-სამი გუნდი დარჩა.*

*ჯგუფური ეტაპის მატჩები გაიმართება 6 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე.*

*თითოეული ჯგუფიდან ორი საუკეთესო გადის მეთექვსმეტედფინალში.*

### კორაჩის თასი. შესარჩევი ეტაპი. საპასუხო მატჩი

**სლოვანი (სლოვენია) — ატომერომუ (უნგრეთი) 70:65 (39:31)**

სლოვანი: ბოისა (7), ჯურკოვიჩი (8), კოვაჩი (6), ლაკოვიჩი (13), ნოვაკი (22), პავიჩი (2), შინკოვეცი (4), შუშტარშიჩი (8), ცქიტიშვილი, ჟაკელი

ატომერომუ: ჩანიი, ჰენჩეი (8), კანგიალი (7), ლუკმინასი (7), მერესი (2), რაიკო (2), რეიდი (22), რუტკაი, ვისოცკასი (17)

| სლოვანი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ბოისა | 24 | 2/5 | 1/3 | 0/0 | 3 | 0 | 0 | 0 | 3 | 7 |
| 15 ცქიტიშვილი | 12 | 0/0 | 0/0 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 |

# ქართველების სლოვანმა სამშობლოს პრესტიჟი იხსნა

ლიუბლიანის „სლოვანს“ პირველი მატჩი გასვლაზე მოგებული კი ჰქონდა, მაგრამ ერთქულიანი მარაგი, თანაც უნგრულ „ატომერომუსებრ“ გამოცდილ გუნდთან, დამშვიდების საბაბს ნაღდად არ იძლეოდა. დიდი ბრძოლა იყო მოსალოდნელი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „კოდელიევოს“ დარბაზში სულ 200 კაცი მივიდა. ამის მიზეზი კი სლოვენიური სპორტი გახლდათ. ოთხშაბათს საღამოს ლაშკოს „პივოვარნას“ ევროლიგაში დებიუტი ჰქონდა, ჩემპიონთა ლიგაში პირველ საშინაო მატჩს ატარებდა „მარიბორის“ საფეხბურთო კლუბი. ამათ გარდა, „როგლა ატრასი“, „ლოკა კავა“, „ზაგორიე“ და „სლოვანი“ კორაჩის თასზე თამაშობდნენ. თანაც, შეხვედრები თითქმის ერთსა და იმავე დროს იწყებოდა. ჰოდა, ლიუბლიანელი გულშემატკივარიც შინ დარჩა, რადგან ტელევიზიით უფრო მეტს იხილავდა და შეიტყობდა, ვიდრე ერთ რომელიმე მატჩზე დასწრებით. აქვე დავსძინოთ, რომ ოთხშაბათს „სლოვანისა“ და „ლოკა კავას“ გარდა, ყველა სლოვენიური გუნდი შერცხვა, „ლოკა კავასაც“ დამატებითი დრო დასჭირდა ბოსნიის „შიროკის“ დასაძლევად.

ვლადიმერ ბოისამ შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო და პირველ ტაიმში ასპროცენტიანი შედეგი ჰქონდა: ორი ორქულიანი და ერთი სამქულიანი ჩააგდო. დაცვაში იგი და შინკოვეცი მორიგეობით მეურვეობდნენ ლიტველ ვისოცკასს, რომელიც კარგად თამაშობდა და „ატომერომუს“ მოგების შანსს უნარჩუნებდა. მასპინძელთაგან გამოირჩეოდა ნოვაკი, რომლის წყალობითაც „სლოვანმა“ ტაიმი რვა ქულით მოიგო.

ვისოცკასმა მეორე ტაიმში მხოლოდ ოთხი ქულა გააკეთა, რაც, ძირითადად, ნიკა ცქიტიშვილის დამსახურება ყოფილა. ნორჩი ქართველი, თურმე, საიმედოდ იჭერდა გამოცდილ მეტოქეს და შეტევის საშუალებას არ აძლევდა. ბოისამ მეორე ტაიმში ქულა ვერ გააკეთა, მაგრამ დაცვაში გამოიჩინა თავი.

მეორე ტაიმში ანგარიში ერთხელ გათანაბრდა, დანარჩენ დროს კი „სლოვანი“ ერთი-ორი ქულით იგებდა. დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ლიუბლიანელები 7 ქულით დაწინაურდნენ. მათ ზედიზედ სამი სწრაფი გარღვევა გააკეთეს და მატჩის ბედი სწორედ მაშინ გადაწყვიტეს. კრიტიკულ მომენტში კარგად ითამაშა ლაკოვიჩმა, რომელმაც აულელვებლად ჩააგდო მნიშვნელოვანი ბურთები.

ამით „სლოვანი“ კორაჩის თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა, სადაც სამგუნდიან ჯგუფში მოხვდა. მისი მეტოქეები საბერძნეთის „ნიარ ისტი“ და თურქეთის „ქარშიაქა“ იქნებიან.

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. I ტური. 23 სექტემბერი

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | **B ჯგუფი** |
| შოლე 64:73 ბენეტონი | ჟალგირისი 66:82 პანათინაიკოსი |
| ცრვენა ზვეზდა 65:64 პაოკ | ოლიმპია 73:63 რეალი |
| ბარსელონა 75:67 ცსკა | თოფაში 76:66 ალბა |
| **C ჯგუფი** | **D ჯგუფი** |
| ულქერი 73:80 ვილერბანი | კახა სან ფერნანდო 62:43 ეფესი |
| ოლიმპიაკოსი 65:63 მაკაბი | ფორტიტუდო 92:78 ციბონა |


AFP შოლე-დან

შოლე — ბენეტონი 64:73. მასპინძელი რენდოლფ ჩაილდრესი (ბურთით) ბენეტონელ ისმაელ სანტოსს (№11) გაურბის

# სამედიცინო აკადემიას ჩემპიონატს უთამაშებლად გამოაკლდა

ალბათ, გული უგრძნობდა კალათბურთის ფედერაციას, ამ ცოტა ხნის წინ რომ იწინასწარმეტყველა, ვეჭვობ, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხის გადახდა ყველა კლუბმა შეძლოსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი, როგორც მათი ვარაუდი გამართლდა. დღე-დღეზე განაცხადების წარდგენის საბოლოო ვადა იწურება და უკვე პირველი გუნდი მოისაკლისა მეცხრე ეროვნულმა.

გასულ სეზონში პირველი ლიგის გამარჯვებული „სამედიცინო აკადემია“ წლეულს უმაღლეს ლიგაში ბურთაობას კი ეშურებოდა, მაგრამ არ დასცალდა. ალბათ, ის 3800 ლარი თუ ებევრა მედიკოსთა კლუბის თავკაცობას, რის გაღებაც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ძირითადი გარანტიაა. ასეა თუ ისე, აკადემიელებმა უკვე ოფიციალურად განაცხადეს უარი ახალი გათამაშებაში ასპარეზობაზე და მიზეზად სწორედ ზემოთქმული თანხის უქონლობა დაასახელეს.

მოგეხსენებათ, თავდაპირველად ფედერაცია თორმეტგუნდა პირველობას გეგმავდა. შემდეგ მათ „გორიც“ დაუმატეს, თან წუხდნენ, უკვე გამზადებული კალენდარის გადასხვაფერება მოგვიწევსო. ახლა ეს პრობლემაც მოეხსნათ — „გორი“ უმტკივნეულოდ დაიკავებს კალენდარში „სამედიცინო აკადემიის“ ადგილს. საკითხავი ისღაა, ეს პირველი დანაკლისი უკანასკნელიც თუ გამოდგება, ღმერთმა ქნას, ასე მოხდეს.

გიორგი გიქაშვილი

# პატარა კაცი ტორონტოში

1987 წლის დრაფტში „ვაშინგტონ ბულიტსმა“ გაუგონრად დაბალი ტანის, 159-სანტიმეტრიანი კალათბურთელი ტაირონ (მაგსი) ბოგსი ამოირჩია. მიუხედავად იმისა, რომ ბოგსი უკვე იყო მსოფლიოს ჩემპიონი (1986 წელს), ბევრმა „ვაშინგტონის“ გადაწყვეტილება მეტიჩრობად მონათლა და კალათბურთელს ხანმოკლე პროფესიული კარიერა უწინასწარმეტყველა.

მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა და პატარა ბოგსი ჯერ კიდევ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშია. კარიერის მანძილზე მან 806 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 8 ქულა და 8 პასი გააკეთა.

წინა სეზონი ბოგსმა „გოლდენ სტეიტ ვორიოზში“ გაატარა. მან 36 მატჩი ითამაშა, საშუალო მაჩვენებლები კი 5,1 ქულა და 3,7 პასი ჰქონდა. სეზონის დამთავრებისთანავე ბოგსი თავისუფალი აგენტი გახდა.

ტანმოკლე კაცი დიდხანს არ დარჩენილა უგუნდოდ. გუშინ ბოგსმა „ტორონტო რეპტორზთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც ერთ მილიონ დოლარს მიიღებს. „ტორონტოს“ გენერალურმა მენეჯერმა გლენ გრიუნვალდმა კომენტარი არ დააყოვნა: „მაგსი ყოველთვის გამორჩეული მოთამაშე იყო და ჩვენი გულშემატკივარიც მალე შეიყვარებს მას. ბოგსის სახით გუნდში გამოცდილება მოვა. იგი გამთამაშებლის ადგილს დაიკავებს და მსროლელ ელვინ ვილიამსთან ერთად დიდებულ ვეტერანულ-ახალგაზრდულ უკანა ხაზს შექმნის.“



# ჩადიან



მალე რაგბის მსოფლიოს თასი გახურდება. სარაგბო ნაკრებები დინჯად ალაგებენ ჩემოდნებს და ბრიტანეთის ჯადოსნური კუთხის, უელსისკენ გასაფრენად ემზადებიან. ბრიტული მინდვრები მეომრებს ელიან. სამგზავროდ გამზადებულან პუმებიც, არგენტინის საუკეთესო მორაგბენი (ზედა ფოტოზე).

ბრიტანეთს ადრევე ჩასულა ავსტრალიის მორაგბეთა ნაკრებიც, რომელსაც დუბლინის შორიახლო დაუქირია ბინა და ახლა ვარჯიშ-ვარჯიშით ეჩვევა აქაურ ჰავას. ოზების ბრძენი გამწვრთნელი როდ მაკკუინი გოლფის თამაშით იქცევს თავს.

## კასპაროვი — მსოფლიო





ეროვნული ბიბლიოთეკა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ

# რაიდერის თასისთვის

მასაჩუსესტში, ბრუკლინის ქანთრი ქლებში დიდის მონდომებით ემზადებიან რაიდერის თასის გათამაშებისთვის. გუშინ, ამ ბოლო გვერდზე ამერიკელთა გუნდი წარმოგიდგინეთ, ახლა ევროპელთა ჯერია. მათი ნაკრებიც უკვე ბრუკლინშია და ვარჯიშობს. ეს სერჯიო გარსიაა, მის თვალის ზომასა და მაჯის სიმტკიცეზე ბევრი რამ ჰკიდია. ევროპა რაიდერის თასსა ფლობს, ამერიკას წართმევა უნდა.



REUTERS



# თასი პრიშტინაში

ცხადი ამბავია, სადაც მშვიდობაა, ფეხბურთიც იქავე ხურდება. ომით ტანჯულ კოსოვოში ჩასულ საერთაშორისო ჯარებს ბურთის გაგორება შეუთავაზებიათ პრიშტინელ ფეხბურთელთათვის. გენერალ-ლეიტენანტ სერ მაიკლ ჯეკსონს თასიც დაუწესებია. მოსულათ, უთქვამთ პრიშტინელებს და ჯარის გუნდი ოთხით ნოლზე დაუმარცხებია. ამდგარა სერ მაიკლი და თასიც დაუნანებლად გადაუცია პრიშტინელთა კაპიტან აფრიმ ტოვერლანისთვის.

# აი, შეგრძნება

*პრეზიდენტი ბილ კლინტონი ვიზიტად ყოფილა ახალ ზელანდიაში. რა სათქმელია და, ამგვარი ვიზიტების დროს პრეზიდენტს მთელი თავისი მინისტრობა ახლავს თან. ეს ფეხებში თოკჩაბმული კაციც მისი ამალის წევრია — თეთრი სასახლის ეკონომიკური მრჩეველი ჯინ სპერლინგი. იგი რომ ჭკვიანი მოღვაწე გახლავთ, ამერიკის ეკონომიკური წინსვლა გვიდასტურებს, მაგრამ თვით ბრძენთაც დაუდგებათ ხოლმე ბიჭური ონავრობის ჟამი. ზელანდიაში პოპულარული გართობა, ხიდიდან ფეხებზე თოკმობმული ხტომა ისე, რომ წყალს არ შეეხო, მისტერ სპერლინგსაც გამოუცდია. ქუინსთაუნში, განთქმულ კავარაუს ხიდზე დამდგარა და 142 ფუტის სიმაღლიდან გადაშვებულა. მაგარი შეგრძნებააო, ამბობენ...*




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აბჟელდიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli